საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 9 სექტემბერი 2004 №209 (2230) ფასი 50 თეთრი

# 2:0 და 4 ქულა ძალიან კარგია!

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| უკრაინა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ალბანეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| თურქეთი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| დანია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| საბერძნეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ყაზახეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |



# MERCI მაგრამ

## გუშინ ლოკომოტივზე ალბანეთი — საქართველო იყო





ალბანელებთან ქართველების გუშინდელი თამაში ერთგვარი კულტურული შოკიც იყო: გულშემატკივარს გაუჩნდა შეგრძნება, რომ ის დაპატიჟეს ფრანგულ სუფრაზე, სადაც ბაყაყი აჭამეს.



# ჰოი, საოცრებავ, ღმერთო, დიდებულო, საქართველო პირველ ადგილზეა!

## ერთი კარგი მწვრთნელი ალენ ჟირესსაც ხომ არ სჭირდება?!



ფოტო სტრაკოშას პირველმა ალექსანდრე იაშვილმა გაუტანა

### ირაკლი ნინიძე

საქართველოსა და ალბანეთის რიგით მერვე თამაშზე წერა გვარიანად ძნელი საქმეა. აქამდე, როცა საქართველოს ნაკრები აგებდა, თამაშის მიმოხილვის წერა ძალიან ადვილი იყო და ძალიან კრიტიკაც გამოგვდიოდა. როცა საქართველოს ნაკრები კარგად ითამაშებდა და მოიგებდა (ხანდახან ხომ ასეც მომხდარა), წერა მაშინაც იოლი იყო — დავწერდით: ბიჭებო, ჯიგრები ხართ, ეგრე გააგრძელეთ, მიდით, მიაწექით და ასე შემდეგ.

მაგრამ რა ვქნათ მაშინ, უფრო სწორად, ახლა, როცა საქართველოს ნაკრები ძველებურად ცუდად თამაშობს, მაგრამ იგებს და ცხრილსაც თავზე წამოსკუპებია? შეაქებ და, გეტყვიან, თვალები სად გაქვთ, ხომ ნახეთ, რომ ცუდად ითამაშესო; გააკრიტიკებ და, ცხრილში ჩაგახედებენ, ისტორიას ქულები შემორჩება და არა თამაშის ხარისხიო. ალბათ იმასაც გეტყვიან, გამარჯვებულებს არ ასამართლებენო.

ალბათ, რაღაც შუალედური გამოსავალი უნდა ვიპოვოთ.

რა თქმა უნდა, როცა ჩვენი გუნდი თამაშობს, მთავარი მოგებაა და მოგებით განცდილი სიხარული უხარისხო თამაშით გამოწვეულ უსიამოვნო გრძნობას ფარავს. შარშან რუსეთთან იმ დიდი მატჩის წინ ერთმა თქვა, ოღონდ მოვიგოთ და თუ გინდა, ორმეტრიანი ოფსაიდიდან გატანილი გოლითო. ეგრეცაა, გულშემატკივარი სხვანაირი ვერ იქნება.

მაგრამ საკითხი შეგვიძლია სხვანაირად შევაბრუნოთ: რას ვეძახით მოგებას. ერთი შეხედვით, უცნაური კითხვაა და განვმარტავთ — გვგონია, რომ საქართველოს ნაკრების მიზანი მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლაა და ვფიქრობთ, ეს საერთო სურვილია. ამისთვის საქართველოს ნაკრებმა 12-მატჩიან ომში ბრძოლათა მეტი წილი უნდა მოიგოს, ცოტა ფრედ დაასრულოს და უფრო ცოტა წააგოს. გვგონია, რომ მხოლოდ ამის მერე შეგვეძლება ვთქვათ, რომ ჩვენ მოვიგეთ. კი არ ვთქვათ, ხმის ჩახლეჩამდე ვიღრიალოთ. ასეთია ჯგუფური ტურნირის სპეციფიკა — გამარჯვებულია ის, ვინც ბოლოს აღმოჩნდება ცხრილის სათავეში.

რა თქმა უნდა, ერთი ქულა ტრაპიზონში და სამი თბილისში გრძელი გზის ძალიან კარგად დაწყებას ნიშნავს და ეს უაღრესად მნიშვნელოვანია. მაგრამ ახლა, როცა ჩვენმა ნაკრებმა უკვე ორი მატჩი ჩაატარა და ჩვენ მისი თამაშის გაანალიზების საშუალება გვაქვს, გვიჩნდება ეჭვი, რომ ასეთი თამაშით ჩვენ გერმანიაში ვერ წავალთ და, შესაბამისად, თურქული ქულით, ალბანური ქულებით და მომდევნო შეხვედრებში აღებული რამდენიმე ქულით განცდილი სიხარული, ვშიშობთ, ფუჭი იქნება...

გუშინ საქართველოს ნაკრების თამაშში ბევრი რამ იყო მოსაწონი — აკაკი დევაძის, ლევან ცქიტიშვილის, ალექსანდრე იაშვილის, კახა კალაძის, ლაშა სალუქვაძის თამაში, მალხაზ ასათიანის ჭკვიანური საგოლე პასი, შოთა არველაძის დიდი გარჯა მეტოქის შეტევების მოსაგერიებლად. მაგრამ ასევე ძალიან ბევრი რამ იყო ცუდიც. ის, რომ ჩვენს ნაკრებს არ შეუძლია ბურთის დაჭერა — ბურთი ალბანელების იყო და ჩვენები დასდევდნენ წასართმევად, იმის მაგიერ, რომ პირიქით ყოფილიყო. ამავე დროს, ჩვენებს სამი-ოთხი გადაბმული პასის გაკეთება უჭირდათ. კიდევ, არსებობს ასეთი საფეხბურთო ტერმინი — ბურთის ამოტანა, ხოლო იმას, რასაც ჩვენები აკეთებდნენ უფრო მატჩის ბოლოსკენ), ბურთის უაზროდ მოგერიება ჰქვია. ალბანელთა თითქმის ყველა შეტევა ჩვენს მარჯვენა ფლანგზე მოდიოდა, რაც ამ ფლანგზე მოთამაშე ჩვენი უკანახაზელების სისუსტედ მიგვაჩნია. გამთამაშებელს კი, მოდით, ვაღიაროთ, რომ ასაკი შეეპარა.

იყო რამდენიმე უცნაურობაც, რაც ალენ ჟირესის გადაწყვეტილებებს კავშირდება. როცა ჯაბა კანკავა მოედანზე გასასვლელად მოემზადა, 25 ათას გულშემატკივარზე თავს ვერ დავდებ, მაგრამ 20 ათასმა მაინც ნაღდად იფიქრა, რომ გოჩა ჯამარაულის მაგივრად გავიდოდა, ასათიანი ადგილს დაიკავებდა, მალხაზი კი ჯამარაულის პოზიციაზე აიწევდა. როცა მეოთხე მსაჯის ალმართულმა ტაბლომ ასათიანის გაყვანა გვამცნო, ხალხი ჟირესის გადაწყვეტილებამ, მეტი რბილად რომ არ ვთქვათ, გააოცა. თუმცა უფრო ხისტი გამოთქმაც შეგვეძლო გვეხმარა.

საერთოდაც, გაუგებარია, ვინ და რატომ ჩააგონა ჟირესს, რომ ასათიანის გამოყენება საყრდენი ნახევარმცველის პოზიციის გარდა არსად შეიძლება? თუნდაც მისი საგოლე პასი გავიხსენოთ: ალბანელები ელოდნენ, რომ ის ბურთს მარცხნივ ჩააწვდიდა, მან კი მეტოქე მოატყუა და საპირისპირო მხარეს, იაშვილისკენ გაგზავნა. ანუ იმის თქმა გვსურს, რომ მალხაზი უკეთესი შემქმნელია, ვიდრე ჩამშლელი.

და რაკი პირველი გოლი აღვწერეთ, მეორეზეც ვთქვათ: ცქიტიშვილის კარისკენ გაიჭრა, კუთხურის ხაზამდე ჩავიდა და იქიდან უზუსტესი პასი გაუკეთა კარის წინ ჩარბენილ გიორგი დემეტრაძეს, ვინაც რამდენიმე წუთის შესული იყო მოედანზე.

მეორე გოლამდე კი ბლომად სანერვიულო გვქონდა და თუ გადავრჩით, აკაკი დევაძეს უნდა ვუმადლოდეთ ბრწყინვალე სეივებისთვის, ნებისმიერ გემოვნებას რომ დააკმაყოფილებდა. ერთხელაც სალუქვაძემ გვიხსნა უნაღდესი გოლისგან — ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა.

რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ჩვენებსაც ჰქონდათ, რომელთაგან იაშვილის ჩაწოდებულზე ლევან კობიაშვილის ახლოდან დარტყმულს გამოვარჩევთ, მაგრამ იქ სტრაკოშამ იყოჩაღა.

საბოლოოდ, თავში ნათქვამს რომ მივუბრუნდეთ, გუშინ იღბალი საქართველოს ნაკრებისკენ იყო, თორემ ალბანელებს ფრე რომ გაეხერხებინათ, უსამართლო შედეგი არ იქნებოდა. ხოლო ამ იღბლიანობისთვის მადლობა... ალენ ჟირესს უნდა გადავუხადოთ — ასეთი იღბალა მწვრთნელი საქართველოს ნაკრებს არასოდეს ჰყოლია. თუ მსოფლიოს ჩემპიონატზე გასასვლელად იღბალი გვეყოფა, საწინააღმდეგო არაფერი გვექნება, მაგრამ ეგებ თავი დავიზღვიოთ და მუსიე ჟირესმა მომდევნო მატჩებში თავისი სხვა ღირსებებიც აღმოგვაჩენინოს.

**2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა. II ჯგუფი. II ტური**

თბილისი. 8 სექტემბერი. 20 საათი. ლოკომოტივი. 25 600 (ტევადობა 25 600)

**საქართველო 2:0 ალბანეთი**

1:0 იაშვილი (15), 2:0 დემეტრაძე (90)

მწვრთნელი ალენ ჟირესი

1 დევაძე

6 სალუქვაძე
3 ხიზანეიშვილი
2 მშავანაძე
4 კალაძე
7 ცქიტიშვილი
16 ასათიანი
17 კობიაშვილი
10 ჯამარაული
11 არველაძე
9 იაშვილი

9 მურტაი
17 ტარე
13 შკელა
7 მურატი
18 დურო
5 ჩანა
14 ლალა
11 ალიაი
6 ჰასი
2 ბექირი

1 სტრაკოშა

მწვრთნელი ჰანს-პეტერ ბრიგელი

შეცვლა: დურო – 16. დრაგუშა (56), ასათიანი – 13. კანკავა (58), მურტაი – 8. ბუში (66), ჯამარაული – 5. კვირკველია (77), მურატი – 20. შკემბი (79), არველაძე – 18. დემეტრაძე (89)

გაფრთხილება: კალაძე (14), კანკავა (59), ალიაი (77)

გაძევება: ბექირი (81)

მსაჯები: მარკ კარტნი; ჯერარდ ფლინი, კეიტ გლაზგო; მაიკლ როსი (ყველა ჩრდ. ირლანდია)

უეფას დელეგატი: როლანდ ტისი (ბელგია)

ინსპექტორი: ზდრავკო ჯოკიჩი (სერბეთი)



მალხაზ ასათიანი მოედნიდან ნაადრევად, მაგრამ ჟალმოხდილი გავიდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეს ალბანეთი შარშანდელს სჯობდა

მატჩის შემდეგ ქართველთა გასახდელში, ცხადია, მხიარულება იყო. სანამ ფეხბურთელები გამოვიდოდნენ, ჩემი ყურადღება უდარდელად მოლაპარაკე ალბანელმა ჟურნალისტებმა მიიქციეს. გაკვირვებულმა მიზეზი რომ ვკითხე, ტირანაში ბერძნების წინააღმდეგ გაცილებით უარესად ვითამაშეთ, თბილისში კი ჩვენი ნაკრები საუცხოოდ გამოიყურებოდაო, იყო პასუხი.

ამასობაში კი ჩვენებიც გამოჩნდნენ...

*ლაშა სალუქვაძე:* პირველი ათი წუთი ძალიან ვნერვიულობდი, თუმცა კალაძის, კობიაშვილის, ხიზანეიშვილის და დევაძის თავდაჯერებულობა მეც გადმომედო და ყველაფერი კალაპოტში ჩადგა.

— ტარეს წინააღმდეგ პერსონალურად თამაშობდი თუ ზონაში გიხდებოდა მისი აყვანა?

— პერსონალურად არცერთის აყვანა არ გვევალებოდა. თითოეული თავის ზონაზე იყო პასუხისმგებელი. ვიცოდით, ტარე მეორე სართულზეა ძლიერი, ამიტომაც ვარჯიშებზე ეს გავითვალისწინეთ და თავით თამაშზე საკმაოდ ვიმუშავეთ. არაფერი რომ არ გამოუვიდა, უხეშობას უხშირა.

*გიორგი დემეტრაძე:* ძალიან გახარებული ვარ, მგონი, საქართველოს ნაკრებს შეუძლია ჯგუფიდან გასვლა. ვიცოდი, მაისურის გახდისთვის ყვითელ ბარათს მომცემდნენ, მაგრამ იმდენად დიდი იყო სიხარული, რომ თავი ველარ შევიკავე.

— ალბანელებს წინა შესარჩევ ეტაპზეც მოუგეთ, მაგრამ ახლა გაცილებით გაგიჭირდათ...

— შარშანდელ ალბანეთს ახლანდელი ერთი თავით სჯობდა. მე თუ მკითხავთ, ალბანელები თურქებზე მეტად მომეწონენ. ძნელია, ერთი თამაშით დასკვნები გააკეთო, შესაძლოა თურქებმა მერე მოუმატონ, მაგრამ ახლა ასე იყო. ალბანელებს გოლი რომ შეეგდოთ, როგორ წავიდოდა თამაში, ღმერთმა იცის.

*აკაკი დევაძე:* თურმე სიბერეშიც არა მიშავს, მთავარია, კაცმა მოინდომო და ყველაფერი გამოგივა. ბებრის რქები, ეტყობა, მართლა ხნავს.

*ალექსანდრე იაშვილი:* ყველაფერი კარგად დაიწყო, ზოგჯერ ჯგუფური ეტაპის ბოლოსლა ვაგროვებდით ოთხ ქულას, ახლა კი ორ თამაშში გვაქვს ამდენი. სიტყვები არ მყოფნის განცდების გადმოსაცემად. სავსე ტრიბუნები, ემოცია, მოკლედ, ყველაფერი იყო. სახლში გულშემატკივრებთან ორმაგ პასუხისმგებლობას გრძნობ და უფლება არ გვქონდა, არ მოგვეგო. ყველაფერი კი თურქეთში აღებული ქულის დამსახურებაა.

— უჩვეული გრძნობაა, საქართველოს ნაკრები ჯგუფის ლიდერია...

— ახლა მთავარია, მიღწეულის შენარჩუნება შევძლოთ.

*კახა კალაძე:* შედეგით კმაყოფილი ვარ. ვიცი, თამაშის ხარისხი საუკეთესო არ იყო და უკეთ თამაშიც შეგვეძლო, მაგრამ ფაქტია, ბიჭებმა თავი დადეს, ბოლომდე იბრძოლეს და დაგვიფასდა კიდეც.

— მეორე გაფრთხილების გამო უკრაინაში ვერ ითამაშებ...

— ძალიან საწყენია, ლვოვში ძალიან მინდოდა თამაში. ჩვენივე უაზრო შეცდომების გამო მომიწია უწყინარ სიტუაციაში ყვითელი ბარათების მიღებამ. მჯერა, ბიჭები ყველაფერს გააკეთებენ, რათა ლვოვშიც არ შეირცხვინონ თავი. თანაც მათ ხიზანიშვილიც დაემატებათ და უკრაინის ნაკრების დამარცხებაც შესაძლებელია.

— ვისთან უფრო გაგიჭირდათ, თურქეთთან თუ ალბანეთთან?

— ორივე ძალიან დაძაბული თამაში იყო. მთავარია, ტრაპიზონში და თბილისში დაშვებული შეცდომები გამოვასწოროთ.

— ჯგუფის ლიდერები ვართ, როგორი შეგრძნებაა?

— აქამდე სულ დამარცხებულის ფსიქოლოგია გვქონდა, ახლა კი ყველაფერი შეიცვალა. ჟურნალისტებიც და გულშემატკივრებიც ჩვენს გვერდით უნდა დადგნენ და ყველაფერი კარგად იქნება.

*ოთარ ხიზანეიშვილი:* ალბანეთის ნაკრებთან ზოგჯერ პრესინგსაც მივმართავდით და ამ ტაქტიკამ გაამართლა. ვიცოდით, რომ ხშირად მოგვიწევდა საჰაერო ბრძოლაც. თითქოს უპირატესობას მეტოქე ფლობდა, მაგრამ ასპროცენტიანი საგოლე მომენტები არ შეუქმნიათ.

— იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ალბანეთთან უფრო გაგიჭირდათ, ვიდრე თურქეთთან...

— ეგრეა, იმიტომ, რომ თამაში გავხსენით და ასე ჩანდა. თურქეთში უკან ვიჯექით და კონტრშეტევებზე ვთამაშობდით. თანაც რამდენიმე იძულებითი ცვლილების და გადაადგილების გაკეთებაც მოგვიხდა. თუმცა ახლა მთავარი შედეგია. შესარჩევი ეტაპის დაწყებას რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ამაზე ორი აზრი არ არსებობს.

**დავით ერაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| უკრაინა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ალბანეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| თურქეთი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| დანია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| საბერძნეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ყაზახეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |

## პრესკონფერენცია



*ჰანს-პეტერ ბრიგელი:* საქართველოს გამარჯვებას ვულოცავ. რაც შეეხება ჩვენს გუნდს, როცა აგებ, არგუმენტები არ გაქვს. თუმცა საკმაოდ კარგად ვითამაშეთ, ოცამდე კუთხურიც და ბევრი საგოლე მომენტიც შევქმენით, მაგრამ ვერ გავიტანეთ.

— პირველი გოლი ტაქტიკური შეცდომის გამო გავუშვით და ერთი შეცდომა დამარცხების ფასად დაგვიჯდა.

— ვერ გეტყვით იმას, თუ რა ვუთხარი ჩემს ფეხბურთელებს შესვენებაზე — თქვენც ხომ არ მეტყვით, რა ხდება თქვენს სახლში?!

— 4 სექტემბერს ბერძნებთან თამაშს ჩვენთვის სულ სხვა დატვირთვა ჰქონდა და დღევანდელი მატჩი მისგან საკმაოდ განსხვავებული იყო, თან ჩვენ ახლა სტუმრად ვითამაშეთ.



*ალენ ჟირესი:* ცხელ გულზე უპირველესად იმის თქმა მსურს, რომ ამ შესარჩევ ციკლში პირველი გამარჯვება მოვიპოვეთ, რაც დიდი ვაჟკაცობით და ერთმანეთის გამხნევებით შევძელით. ძალიან ძნელი მატჩი იყო, მაგრამ გამარჯვება ყოველთვის ლამაზია.

— შესვენების შემდეგ ფეხბურთელებს ვუთხარი, მეტოქის ნახევარზე პრესინგს შეეშვით-მეთქი, რადგან ამ მატჩისთვის ფიზიკურად არცთუ ძლიერად ვიყავით მზად. ამის გამო იყო, რომ ცოტა უკნიდან ვითამაშეთ.

— შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელმა თუ გოლი გაიტანა, ეს მწვრთნელის დამსახურებაა, თუ ვერა, მაშინაც მწვრთნელის ბრალია — ამას ყველა ასე უყურებს, მაგრამ თუ დემეტრაძე თავით გაიტანდა გოლს, ეს ნაღდად არ მეგონა.

— შეტევაში სიხალისე გვაკლდა, მაგრამ ცოტა ხანში ეს ალბათ სხვანაირად იქნება. დღევანდელი მატჩი უფრო სიბრძნის ხარჯზე უნდა გვეთამაშა.

— ვერ ვიტყვი, რომ ჩვენი ნახევარდაცვა გუნდის ყველაზე სუსტი რგოლი იყო. მთლიანად გუნდს აკლდა ფიზიკური ძალა.

— ორ მატჩში ასეთ შედეგს რომ მივაღწიეთ, ეს მთლიანად ჩვენი ოცი ფეხბურთელის დამსახურებაა. მათი ძალიან კმაყოფილი ვარ. ერთ მუშტად შეკრულ გუნდად წარმოვაჩინეთ თავი. ჩვენ ახლა ჯგუფში ყვითელი მაისურა გვაცვია და ეს მდგომარეობა უნდა შევინარჩუნოთ.



კახა კალაძე უკრაინაში ვერ ითამაშებს



ალექსანდრე იაშვილს პრიზიც ერგო



აკაკი დევაძემ ასაღებიც აიღო და აუღებელიც



შოთა არველაძეს ალბანეთი ამჯერზე გადაურჩა

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა. II ჯგუფი. II ტური

### ყაზახეთი 1:2 უკრაინა

0:1 ბელიკი (15), 1:1 კარპოვიჩი (35), 1:2 როტანი (90)

**ყაზახეთი:** ნოვიკოვი, ფამილცევი, ავდეევი, ირისმეტოვი, დუბინსკი, სმაკოვი (მუსინი 72), კარპოვიჩი, ბალტიევი, ჩიჩულინი (ურაზბახტინი 53), ნიზოვცევი, ტლეშევი (რადიონოვი 63)

მწვრთნელი: სერგეი ტიმოფეევი

**უკრაინა:** შოვკოვსკი, ნესმაჩნი, რუსოლი, ტიმოშჩუკი, იეზერსკი, ზაკარლიუკა, ბელიკი (შელაევი 90), გუსინი (როტანი 67), გუსევი, სტაროსტიაკი (ვორონინი 51), ვოროზეი

მწვრთნელი: ოლეგ ბლოხინი

გაფრთხილება: კარპოვიჩი

მსაჯი: პედრუ ალვეშ ოლივეირა (პორტუგალია)

24 500 მაყურებელი

### საბერძნეთი 0:0 თურქეთი

**საბერძნეთი:** ნიკოპოლიდისი, სეიტარიდისი, კაპსისი, ფისასი (პაპადოპულოსი 80), კარაგუნისი, იანაკოპულოსი (ცარტასი 80), კაცურანისი, ზაგორაკისი, ბასინასი, ხარისტიასი, ვრიზასი

მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი

**თურქეთი:** რუშთუ, სერქანი, დენიზი, იბრაჰიმი, სერვეთი, უმით ოზატი, ოკანი (ჩისმირი 73), ემრე, ფათიჰი (ალტინტოპი 90), ნიჰათი (სერჰათი 90), კარადენიზი

მწვრთნელი: ერსუნ იანალი

გაფრთხილება: ოკანი, ხარისტიასი, სერქანი, ემრე

მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)

33 000 მაყურებელი

# ფეხბურთელებს ყოველთვის აგრესიისკენ მოვუწოდებ



გოჩა ტყებუჩავამ მწვრთნელობას სერიოზულად სამი წლის წინ მოჰკიდა ხელი, როცა, არც მეტი, არც ნაკლები, თბილისის „დინამოს" ჩაუდგა სათავეში — მისი ხელმძღვანელობით ხელახლა და მეტწილად ახალბედა ფეხბურთელებით აწყობილმა გუნდმა ეროვნულ ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა.

ახლა კი ტყებუჩავა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელია და გუნდმა ახალი შესარჩევი ციკლი წარმატებით დაიწყო — გასვლაზე თურქეთს დაუზავდა, ხოლო გუშინწინ შინ ალბანეთი წააქცია 2:1.

ტყებუჩავას გუშინ, ეროვნული ნაკრებების მატჩის წინ შევხვდით და რამდენიმე შეკითხვაზე პასუხის გასაცემად დავსაქმეთ

## სირბილი და მოგება ქართველებსაც შეუძლიათ

— ადრინდელ შეხედულებებს უღალატეთ და ახლა სულ სხვა სქემით, სულ სხვა ტაქტიკით ხელმძღვანელობთ, ალბანეთთან კი სულაც ერთი გამოკვეთილი ფორვარდით ითამაშეთ...

— ირაკლი მოდებაძის უკან ორი ისეთი ფეხბურთელი გავამწესე, გოჩა ხოჯავა და კახა ალადაშვილი, რომელთაც უფლება მივეცი, მეტწილად შემტევთა ფუნქციები შეესრულებინათ, ვიდრე დაცვითი. ადრე 3-5-2 სქემას ვანიჭებდი უპირატესობას და ბევრ გოლს ვუშვებდით, ახლა კი აქცენტი გოლის არგაშვებაზე მაქვს გადატანილი და ვფიქრობ, თავს საქმეს ნორმალურად ვართმევთ.

— ალბანეთთან პირველ ტაიმში თითქმის ყველა საჰაერო ბრძოლას აგებდით...

— ამ კომპონენტში მეტოქე ხანდახან მართლაც გვჯობდა, მაგრამ მხოლოდ იმის გამო, რომ სიმაღლეში ოდნავი უპირატესობა ჰქონდათ.

— მოდებაძის თამაშს როგორ შეაფასებდით?

— ამ დროისთვის ეს თავდამსხმელი ფიზიკურად ასი პროცენტით მზად არ არის და მიუხედავად ამისა, მას ურიგოდ არ უთამაშია. თანაც ის ახლახან დაბრუნდა ზაპოროჟიეს „მეტალურგში" და სათანადო სათამაშო პრაქტიკა აკლია, გარდა ამისა, კოჭის სახსრის ანთება აქვს და ალბანეთთანაც გამაყუჩებელი ნემსით ითამაშა.

— ჯაბა კანკავა ეროვნულ ნაკრებში მიიწვიეს, თუმც არ ათამაშებენ. არ აპირებთ, ალენ ჟირესს სთხოვოთ, ეს ნახევარმცველი დაგითმოთ?

— ყველაფერი ეს მხოლოდ ჟირესის გადასაწყვეტია. თუ კანკავას კვლავ გამოიძახებენ ეროვნულ ნაკრებში და კვლავ არ ათამაშებენ, მერე ალბათ დაგვითმობენ ამ ფეხბურთელს.

— მომდევნო მეტოქეებზე რას იტყვით?

— არ ვიცი, რას წარმოადგენენ უკრაინა და დანია, ამ გუნდების მატჩების ვიდეოფირები ჯერ არ მინახავს.

— თურქეთთან და ალბანეთთან მატჩებმა როგორც მწვრთნელს რა შეგმატა?

— მეტი თავდაჯერებულობა და ამ კომპონენტში ჩვენმა ფეხბურთელებმაც წაიწიეს წინ — კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ბრძოლა, სირბილი და მოგება ქართველებსაც შეუძლიათ.

— ალბანეთთან იყო არასპორტული ქცევაც, კინკლაობაც და ყველაფერ ამის გამო ორი ფეხბურთელი გაგვიძევეს — ეს საკითხი ადვილად მოსაგვარებელია ჩვენს გუნდში?

— ჩვენს ფეხბურთელებს ყოველთვის აგრესიისკენ მოვუწოდებ, მაგრამ ეს ფეხბურთის კანონების ფარგლებში უნდა მოხდეს. თუ ფეხბურთელი სათამაშო ეპიზოდში მიიღებს ყვითელ ან წითელ ბარათს, საპრეტენზიო ვერაფერი მექნება, მაგრამ ჩხუბი და კინკლაობა თუ კიდევ განმეორდება, ფეხბურთელებს დავსჯი — ნაკრების მომდევნო შეკრებაზე აღარ გამოვიძახებ.

— საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში თუ ხედავთ ისეთ ფეხბურთელს, ვინც ამ ეტაპზე უკვე მზადაა ეროვნულში სათამაშოდ?

— ალენ ჟირესს რამდენიმე ასეთ ფეხბურთელს შევთავაზებ, არა ერთს და ორს. მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს — ახალგაზრდა ფეხბურთელი ეროვნულ ნაკრებში რომ მივა, ფსიქოლოგიურად არ უნდა დაითრგუნოს.

**დავით თავართქილაძე**



ეს ანუ გამარჯვება თუ გვინდა, ამას ანუ ჩხუბსა და კინკლაობას უნდა მოვუკლოთ

# უკრაინელებს ქართველების უკვირთ, ამისულაშვილს საბოსი



6 სექტემბერს უკრაინის ჩემპიონატის პირველ ლიგაში კიევის „დინამო 2"-ის შემადგენლობაში თავისი მესამე გოლი გაიტანა ალეკო ამისულაშვილმა. მან „ობოლონთან" ანგარიში გახსნა, საბოლოოდ კი კიეველებმა 3:0 გაიმარჯვეს. ავადმყოფობის შემდეგ ამისულაშვილმა ფორმა აღიდგინა და დუბლშემადგენლობაში უცვლელად თამაშობს.

იოჟეფ საბოს მისვლის შემდეგ გაჩნდა იმედი, რომ ალეკო კიეველთა ძირითად შემადგენლობასაც გაუშინაურდებოდა, მაგრამ „დინამოს" ჩემპიონთა ლიგის დამატებით განაცხადში ჩვენებური არ შეუყვანია და სიტუაციაში გასარკვევად ალეკოს გუშინ კიევში შევეხმიანეთ...

— სიმართლე გითხრა, მიკვირს, ასე რომ მოხდა. საბოსთან საკმაოდ თბილი ურთიერთობა მაქვს. ამ რამდენიმე დღის წინაც ველაპარაკე, მითხრა, უკანა მცველის პოზიციაზე თამაშისას გნახე და მომეწონა, როგორ აზლევე თანაგუნდელებსო. რატომღაც მგონია, რომ ეს განაცხადი მიხაილიჩენკოს გაკეთებულია და საბომ ველარაფერი შეცვალა.

— „ობოლონს" როგორ გაუტანე?

— საჯარიმოს კუთხეში ბურთი მკერდზე მივიღე და მიწაზე დაუშვებლად დავარტყი. კარგი სანახავი გოლი იყო. ვგრძნობ, ფორმაში შევედი და ფიზიკურადაც კარგად ვარ.

— უკრაინაში რა გამოხმაურება ჰქონდა ჩვენი ნაკრების თურქულ ფრეს?

— გაუკვირდათ, განსაკუთრებით კი ის, რომ ქართველებმა ანგარიში გაათანაბრეს. საერთოდ კი, ყველა საქართველოს ნაკრებს ჰქომაგობდა.

— თურქეთში ფრის შემდეგ ალბათ სერიოზულ მეტოქედ აღგვიქვამენ...

— უკრაინელები ჩვენს ნაკრებს სერიოზულ მეტოქედ ყოველთვის თვლიდნენ. მეტიც, უკრაინაში ჩვენი ნაკრების სტუმრობას ძალიან უფრთხიან.

— თავადაც კარგი შედეგი ჰქონდათ დანიაში...

— დანიური ფრით ყველა კმაყოფილია. ბლოხინის კრიტიკა საქებარმა სიტყვებმა შეცვალა. არადა, მანამდე სულ იმას წერდნენ, ბლოხინის ხელში ჯგუფში შეიძლება მხოლოდ ყაზახეთს გავუსწროთო.

— შევჩენკოსთან კონფლიქტიც ამოიწურა?

— რა ვიცი, ყაზახეთში სათამაშოდ არ წავიდა და უმალ აუგორეს, ტრავმა მოიმიზეზაო.

**დავით ერაძე**



# აღდგენითი სამუშაოები

## ლომაიამ ტვინის შერყევა ვერ გაიგო, აშვეთიას გამოჯანმრთელება არ აცალეს

18 აგვისტოს მოლდოვასთან ამხანაგურ მატჩში დაშავებული გიორგი ლომაია ჯერაც ვერ ვარჯიშობს სრული დატვირთვით. საქართველოს ნაკრების მეკარეს ბოლო ხანს გუნდს შემოჩვეული ტვინის შერყევა დაუდგინეს. გავიხსენოთ: ბოლო ერთ თვეში იგივე დიაგნოზი მიხეილ აშვეთიას, გოგიტა გოგუას, ზურაბ ხიზანიშვილს დაუსვეს. ამ სიას გუშინწინ საქართველო—ალბანეთის ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩში დაშავებული მამუკა ლომიძეც შეემატა. გუშინ გიორგი ლომაიას შევეხმიანეთ და ჯანმრთელობის ამბები გამოვკითხეთ...

— თავის ტკივილი ჯერ კიდევ მაწუხებს, მაგრამ ექიმები მეუბნებიან, მალე გაგივლისო. ასე რომ, ჯერჯერობით ვისვენებ.

— ვარჯიშს როდის დაიწყებ?

— ალბათ ერთ კვირაში.

— ახლა მხოლოდ დასვენება გაქვს გამოწერილი თუ ნემსებსაც იკეთებ?

— ნემსებს უკვე მოვრჩი, ახლა წამლებს ვსვამ.

— ითქვა, რომ თამაშისას და მის მერეც არაფერს უჩიოდი...

— პირველი ტაიმის ბოლოს მომხვდა ფეხი ცხვირში, ვერაფერი ვიგრძენი. კი მტკიოდა, მაგრამ შეცვლა აზრადაც არ მომსვლია. მერე „ხიმკიში“ ვარჯიშიც განვაგრძე, მაგრამ მზიანი ამინდი იყო და თავი ისე ამტკივდა, რომ ველარ გავუძელი.

— აქაც ყველას გაუკვირდა, ასეთი დიაგნოზი რომ დაგისვეს...

— წარმოიდგინე, მოლდოვასთან თამაშის მერე „ხიმკიში“ ორი დღე ვივარჯიშე და არაფერი გამიგია.

— ექიმები რას გეუბნებიან?

— საშიში არაა, მაგრამ, აღდგენის პროცესია ძნელიო. დიდ ხანს სჭირდება დასვენება. ალბათ 14 სექტემბერს დავიწყებ ვარჯიშს. გამოდის, რომ დაახლოებით ერთი თვე გამიცდა.

გიორგისთან ლაპარაკს ამით მოვრჩით და მოსკოვის „ლოკომოტივის“ თავდამსხმელ მიხეილ აშვეთიას ამბებიც მოვიკითხეთ. როგორც გავიგეთ, აშვეთიამ უკვე დაიწყო ძუნძული, თუმც სრული დატვირთვით ვარჯიში ჯერაც ეკრძალება. რკინიგზული კლუბის ექიმების ვარაუდით, ჩვენებური თვის ბოლოს თუ დაიწყებს ბურთით ვარჯიშს.

ამასობაში „ლოკომოტივმა“ სატრანსფერო ფანჯარა „გამოალო“ და აშვეთიას კიდევ ერთი კონკურენტი გაუჩინა. დონეცკის „შახტარის“ ყოფილმა თავდამსხმელმა მილან ივანოვიჩმა მოსკოველებთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და მალე რკინიგზულ დებიუტსაც მოიწყობს. სერბ ფეხბურთელს 27-ნომრიანი მაისურა გადასცეს.

**ბახა შალამბერიძე**



მიხეილ აშვეთია


# ფეხბურთი

ფკ ამერის საფეხბურთო სკოლა

**პირველი ლიგა**

**9 სექტემბერი**

მეოთხე ტური

ამერი — ლოკომოტივი 2

თბილისი — თბილისი

დასაწყისი 16 საათზე. დასწრება უფასოა

მის: თიანეთის გზატკეცილი 25

(გლდანულას გადასახვევთან)


# კერჟაკოვის ზენიტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**თანამეგობრობისა** და ბალტიისპირეთის ქვეყნების საუკეთესო ფეხბურთელის საავგისტო გამოკითხვაში ალექსანდრ კერჟაკოვმა გაიმარჯვა. სანკტ პეტერბურგის „ზენიტისა“ და რუსეთის ნაკრების თავდამსხმელმა 50 ქულა დააგროვა და ოდენ ქულით აჯობა „მილანის“ უკრაინელ სუპერვარსკვლავ ანდრეი შევჩენკოს.

აგვისტოს გამოკითხვაში საქართველოდან გაზეთი „სარბიელი“ მონაწილეობდა და აქვე ჩვენს ხუთეულსაც გაგაცნობთ: ანატოლი ტიმოშჩუკი (შახტარი), რობერტას პოშკუსი (კრილია სოვეტოვი), ალექსანდრ კერჟაკოვი (ზენიტი), ალექსეი სმერტინი (ჩელსი) და ვიაჩესლავ მალაფეევი (ცსკა).

კერჟაკოვი ოთხმა გამოცემამ დაასახელა პირველ ადგილზე, საერთო ჩათვლაში კი მე-7 ადგილამდე აიწია. აგვისტოში მის მთავარ მიღწევად რუსეთის თასზე „ირტიშის“ კარში გატანილი 5 გოლი ითვლება. „ზენიტმა“ ეს მატჩი 7:1 მოიგო.

საერთო ჩათვლა ვახსენეთ და, ალბათ შეხსენებაც არ გჭირდებათ, რომ იანვარ-აგვისტოს მონაცემებით ანდრეი შევჩენკო ლიდერობს. უკრაინელი მთელი 142 ქულით უსწრებს მეორეადგილოსან ალექსეი სმერტინს და ალბათ იმის თქმაც შეგვიძლია, რომ სასწაული უნდა მოხდეს, „შევამ“ წლეულს პირველობა ვინმეს დაუთმოს.

ბოლოს ისიც ვთქვათ, რომ აგვისტოს ლაურეატებში ვერც ერთი ქართველი ფეხბურთელი ვერ მოხვდა. საერთოდ კი, აქამდე ქულები მხოლოდ ოთხმა ჩვენებურმა აიღო — ვიტალი დარასელიამ (36), გიორგი გახოკიძემ (31), შოთა არველაძემ (25) და ალექსანდრე იაშვილმა (18).

**ბახა შალამბერიძე**



ანდრეი შევჩენკოს პოსტსაბჭოურ სივრცეში ბადალი არ ჰყავს

### საერთო ჩათვლა
იანვარი-აგვისტო

| | |
|---|---|
| შევჩენკო (უკრაინა) | 344 |
| სმერტინი (რუსეთი) | 202 |
| კარპინი (რუსეთი) | 150 |
| ვერპაკოვსკისი (ლატვია) | 132 |
| ალენიჩევი (რუსეთი) | 98 |
| სიჩოვი (რუსეთი) | 94 |
| კერჟაკოვი (რუსეთი) | 71 |
| ტიმოშჩუკი (უკრაინა) | 71 |
| კოლინკო (ლატვია) | 62 |
| კასიმოვი (უზბეკეთი) | 60 |
| გლები (ბელარუსი) | 58 |
| მალაფეევი (რუსეთი) | 55 |
| კარიაკა (რუსეთი) | 47 |
| ესიპოვი (რუსეთი) | 37 |
| დარასელია (საქართველო) | 36 |
| პანოვი (რუსეთი) | 36 |
| გახოკიძე (საქართველო) | 31 |
| რომაშჩენკო (ბელარუსი) | 28 |
| არველაძე (საქართველო) | 25 |
| მოსტოვოი (რუსეთი) | 24 |
| ოვჩინიკოვი (რუსეთი) | 24 |
| პოშკუსი (ლიტვა) | 22 |
| კულიევი (თურქმენეთი) | 20 |
| მანუჩარიანი (სომხეთი) | 19 |
| იაშვილი (საქართველო) | 18 |
| ვორობეი (უკრაინა) | 16 |
| გეინრიხი (უზბეკეთი) | 16 |
| ჟირკოვი (რუსეთი) | 16 |
| იანკაუსკასი (ლიტვა) | 16 |
| შოვკოვსკი (უკრაინა) | 16 |
| პეტროსიანი (სომხეთი) | 15 |
| პროხორენკოვსი (ლატვია) | 13 |
| რუბინსი (ლატვია) | 12 |
| შემბერასი (ლიტვა) | 11 |
| ბელკევიჩი (ბელარუსი) | 10 |
| ბუგაევი (რუსეთი) | 5 |
| კალნინშსი (ლატვია) | 3 |



ალექსანდრ კერჟაკოვს (მარჯვნივ) „ირტიშის“ კარში გატანილი 5 გოლი ჟურნალისტებმა დიდად დაუფასეს

СПОРТ ЭКСПРЕСС

# გამოკითხვა

## თანამეგობრობისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების საუკეთესო ფეხბურთელი

**აგვისტო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალექსანდრ კერჟაკოვი (რუსეთი) | 4 | 3 | 3 | 5 | - | 51 |
| ანდრეი შევჩენკო (უკრაინა) | 7 | 1 | 1 | 2 | 4 | 50 |
| ალექსეი სმერტინი (რუსეთი) | 1 | 5 | 3 | 2 | 2 | 40 |
| ანატოლი ტიმოშჩუკი (უკრაინა) | 2 | 2 | 4 | 3 | 2 | 38 |
| რობერტას პოშკუსი (ლიტვა) | 1 | 3 | 2 | 1 | 3 | 28 |
| ვიაჩესლავ მალაფეევი (რუსეთი) | - | 2 | 3 | 1 | 3 | 22 |
| დეივიდას შემბერასი (ლიტვა) | 1 | - | - | 2 | 2 | 11 |

| ქვეყანა/მედია | პირველი | მეორე | მესამე | მეოთხე | მეხუთე |
|---|---|---|---|---|---|
| აზერბაიჯანი „ეხო“ | სმერტინი | კერჟაკოვი | პოშკუსი | შემბერასი | შევჩენკო |
| სომხეთი „არმენია TV“ | შევჩენკო | სმერტინი | კერჟაკოვი | ტიმოშჩუკი | პოშკუსი |
| ბელარუსი „სპორტივნაია პანორამა“ | შევჩენკო | სმერტინი | კერჟაკოვი | ტიმოშჩუკი | შემბერასი |
| საქართველო „სარბიელი“ | ტიმოშჩუკი | პოშკუსი | კერჟაკოვი | სმერტინი | მალაფეევი |
| ყაზახეთი „ვრემია“ | პოშკუსი | სმერტინი | ტიმოშჩუკი | შემბერასი | შევჩენკო |
| ყირგიზეთი „მოია სტოლიცა-ნოვოსტი“ | შევჩენკო | მალაფეევი | სმერტინი | კერჟაკოვი | ტიმოშჩუკი |
| ლატვია „ჩასი“ | ტიმოშჩუკი | პოშკუსი | მალაფეევი | კერჟაკოვი | შევჩენკო |
| ლიტვა „რესპუბლიკა“ | შევჩენკო | სმერტინი | პოშკუსი | კერჟაკოვი | შემბერასი |
| მოლდოვა „ნეზავისიმაია მოლდოვა“ | კერჟაკოვი | ტიმოშჩუკი | მალაფეევი | შევჩენკო | სმერტინი |
| რუსეთი „ინტერფაქსი“ | შევჩენკო | კერჟაკოვი | მალაფეევი | სმერტინი | ტიმოშჩუკი |
| ტაჯიკეთი „აზია-პლუსი“ | შემბერასი | კერჟაკოვი | ტიმოშჩუკი | მალაფეევი | შევჩენკო |
| თურქმენეთი „ბეიკ თურქმენბაში ნესლი“ | კერჟაკოვი | პოშკუსი | შევჩენკო | ტიმოშჩუკი | სმერტინი |
| უზბეკეთი „ფუტბოლ ექსპრესი“ | შევჩენკო | სმერტინი | ტიმოშჩუკი | კერჟაკოვი | პოშკუსი |
| უკრაინა „ფაკტი“ | შევჩენკო | ტიმოშჩუკი | სმერტინი | კერჟაკოვი | მალაფეევი |
| ესტონეთი ETV | კერჟაკოვი | შევჩენკო | ტიმოშჩუკი | პოშკუსი | მალაფეევი |
| სპორტ-ექსპრეს ინტერნეტი | კერჟაკოვი | მალაფეევი | სმერტინი | შევჩენკო | პოშკუსი |

**პირველი ადგილი — 5 ქულა, მეორე — 4, მესამე — 3, მეოთხე — 2, მეხუთე — 1**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლეგენდარული დიეგო მარადონა კვლავაც კუბაზე, ფიდელ კასტროს რეზიდენციაში იმკურნალებს

# მამა ხარ, შენი ვალია!



**დიეგო მარადონას** არგენტინის დატოვებისა და კუბაზე მკურნალობის გაგრძელების ნება დართეს მოგეხსენებათ, ლეგენდარულ ფეხბურთელს, ერთი ხნის წინ, არგენტინულმა სასამართლომ ქვეყნის დატოვების საშუალება არ მისცა, მაგრამ ბოლო დღეებში უმაღლესმა მოსამართლემ, როგორც ზემდგომმა ინსტანციამ, საქმეს გადახედა და გენიოსს კუბაზე გამგზავრების უფლება უწყალობა, ოღონდ ოჯახის პასუხისმგებლობით და ზედამხედველობის ქვეშ.

„დიეგო კუბაზე მამის და პირადი ექიმის თანხლებით გაემგზავრება — დაადასტურა ვექილმა ექტორ ლეგუისამონმა — მოსამართლე ნორბერტო გარსია ვედია დარწმუნდა, რომ თუ მას ჯერ მამა გაჰყვება, ხოლო შემდეგ ერთ-ერთი და ჩააკითხავს, მისი გაშვება შესაძლებელია, ოღონდ, კატეგორიულად მოითხოვა, რომ ოჯახის მხრიდან ზედამხედველობა ერთი წუთითაც არ შენელდეს“.

მოგეხსენებათ, მარადონას პრობლემა ნარკომანიაა, რამაც ბოლო წლებში უკვე მის ჯანმრთელობაზე იმოქმედა ძალიან ცუდად. შეგახსენებთ იმასაც, რომ რამდენიმე წლის წინ დიეგომ პრობლემის დაძლევა კუბის ერთ-ერთ კლინიკაში სცადა და მაშინ მკურნალობამ თითქოს შედეგი გამოიღო.

**ბაჩუნა ძიძია**

# აიძულეთ დაიფიცონ

## უჩინარმა გამოაჩინეთო

*ჰოლანდიური ფეხბურთის ლეგენდა, იოჰან კრუიფი ამტკიცებს, რომ მისი ქვეყნის ჩემპიონატში უცხოელთა ლიმიტი უნდა დაწესდეს*



იოჰან კრუიფმა მარკო ვან ბასტენის მასწავლებლობა იუარა

მოგეხსენებათ, კრუიფი ნაკრების ახალ თავკაცს, მარკო ვან ბასტენს დახმარებას დაჰპირდა და ამ მხრივაც მნიშვნელოვანია მისი მოსაზრება: ჩემპიონატში უცხოელთა რაოდენობის შემცირება ნაკრებისთვის ჰოლანდიელი ფეხბურთელების რაოდენობის გაზრდას გამოიწვევს.

„ამ საკითხში ახლავე თუ არ ჩავერიეთ, რამდენიმე წელიწადში სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოვჩნდებით. „აიაქსი“, „ფეიენოორდი“ და „პსვ ეინდჰოვენი“ მხოლოდ უცხოელების შეძენაზე არიან გადასული“ — თქვა კრუიფმა და დასძინა — კლუბებს უნდა მივაწვეთ, რომ ჯენტლმენური გარიგება დადონ და თქვან, რომ აუცილებლად ათამაშებენ ექვს ჰოლანდიელს და ნაკრებს თაობებს აღუზრდიან“.



შემდეგ კრუიფს ჰკითხეს თუ რამდენად მართალია, რომ ვან ბასტენი მხოლოდ საჩვენებელი ფიგურაა, რომელიც სინამდვილეში „უჩინარი“ ბოსებისგან იმართება.

„ისევე, როგორც „ბარსელონაში“, რაიკარდის უკან ეძებენ ვიღაც დაფარულ კაცს, ასეთსავე ეძებთ ნაკრებში ვან ბასტენის უკან, მაგრამ მერწმუნეთ, ერთმაც და მეორემაც ფეხბურთში იმდენი იცის და ისეთი დიდი ხედვა აქვთ, რომ თავიანთ პოზიციას ნამდვილად დაიცავენ“ — მიუგო „უჩინარმა“.

**ბაჩუნა ძიძია**

# დელას, მერე ჰელას?



სანამ რუდი ფიოლერს ტრავმირებული ფეხბურთელები დაუბრუნდებიან, ერთ-ერთი მათგანი ტრაიანოს დელასი კალათბურთით შეიქცევს თავს



**„რომას“** ბოლო ხანს საგანგებო ყურადღება იმიტომ ექცევა, რომ ახალი მწვრთნელი ჰყავს, გერმანელი რუდი ფიოლერი, რომლის დებიუტი სერია A-ში მომუშავე სპეციალისტის რანგში, „ფიორენტინას“ წინააღმდეგ შედგება, მაგრამ ფიოლერის ახალი კარიერა პრობლემებით იწყება: ტრაიანოს დელასი და მიდო დაშავდნენ. ევროპის ჩემპიონი, ბერძენი დელასი ნაკრებში გახლდათ გამოძახებული და იქ, ვარჯიშზე იტკინა ფეხი. მან სანაკრებო შეხვედრებში ვერ მიიღო მონაწილეობა და იტალიის დედაქალაქში დაბრუნდა, სადაც ექიმებმა გასინჯეს და ამ უქმეებზე ფლორენციელებთან თამაში არ ურჩიეს, მაგრამ თავად ასე ამბობს:

„სერია A-ს დაწყებას ვერ გამოვტოვებ. ძალიან ვწუხვარ ნაკრების დატოვება ასე მალე რომ მომიხდა, მაგრამ ჩემი აქ, რომში ყოფნა ძალიან მნიშვნელოვანია.“

შეგახსენებთ, რომ „რომას“ არ ჰყავს რუმინელი კრისტიან კივუ, რომელიც დიდი ხნით არის დაშავებული, ხოლო ფილიპ მექსეში და მატეო ფერარი დისკვალიფიცირებულნი არიან.

თუმცა, ეგვიპტელი მიდოს ამბავი ადასტურებს, რომ „რომას“ პრობლემები მხოლოდ დაცვაში არ აქვს. მიდომ, მოგეხსენებათ, „რომასთან“ კონტრაქს ხელი სატრანსფერო პერიოდის ბოლო დღეს მოაწერა, მაგრამ ექიმებმა აღმოაჩინეს, რომ საზარდულის ტრავმის გამო, მან შეიძლება რამდენიმე კვირაც კი გამოტოვოს.

**ბაჩუნა ძიძია**

*მორიგ შარში გაეხვა „ჩელსის“ ძირითადიდან ამოვარდნილი რუმინელი ვარსკვლავი ადრიან მუტუ. 25 წლის ფორვარდი ახლა ბუქარესტშია სანაკრებო თამაშზე და იქაური პოლიცია კი გააბრაზა*

# მუტუს წაუთაქეს

**პატრული** დიდი მონდომებით აედევნა მუტუს BMW X5-ს, რომელიც ძალიან მაღალი სიჩქარით დაქროდა ქალაქში. მუტუს მდევრებმა დამატებითი მანქანებიც გამოიძახეს და როცა როგორც იქნა მოთარეში გააჩერეს, მუტუმ საბუთების წარდგენაზე უარი თქვა.

შედეგად მან კისერში წათაქება, მცირე ჯარიმა და სამთვიანი აკრძალვა მიიღო. საერთოდ, მუტუ ხასიათზე ვერ არის რახანია „ჩელსიში“ მოთამაშეებთანაც წაუხდა საქმე და ჟოზე მაურინიუსთანაც ცუდი ურთიერთობა აქვს.

რუმინელმა ფსიქოლოგმა ფლორინ ტუდორემ თქვა, რომ მუტუ მართალია გიჟი არ არის, მაგრამ გვარიანი პრობლემა აქვს ტვინში: „მას მორალის საქმე უჭირს. ხალხს პატივს არ სცემს საკუთარ სახლში, კლუბსა და ქუჩაში. 25 წლისაა და ბავშვივით იქცევა. რასაც ამოიჩემებს, წამსვე უნდა აუსრულდეს. მას ექიმი სჭირდება. ამავდროულად ის სერიოზული და პრინციპული კაცია“.

მუტუს ბოლო დროის მთავარი პრობლემა ცოლ ალექსანდრასთან ჩხუბიანი განქორწინება და, მათი ვაჟის მარიოსთვის ბრძოლა იყო.

**ირაკლი გამყრელიძე**



ადრიან მუტუს მწვრთნელთან და თანაგუნდელებთან ურთიერთობა აეწეწა

# უცნაური ამბები გველის

## რეალისთვის ვარგა, ნაკრებისთვის სუსტია?

ვეტერანმა მწვრთნელმა, „ოსერში“ ათწლეულობით ნამუშევარმა და ყოვლად პატივცემულმა გი რუმ ზინედინ ზიდანის გადაწყვეტილება ნაკრებიდან წასვლის თაობაზე სასტიკად გააკრიტიკა. შეგახსენებთ: მას მერე, რაც ევრო 2004-ზე „ლურჯებმა“ საბერძნეთის ნაკრებთან წააგეს და შეჯიბრებიდან გამოვარდნენ, ზიზუმ გამოაცხადა, რომ სანაკრებო კარიერას ასრულებს.

მას შემდეგ, მოგეხსენებათ, საფრანგეთის ნაკრებში მწვრთნელი შეიცვალა, გუნდი მსოფლიოს 2006 წლის შესარჩევ კამპანიაში ჩაერთო და შაბათს, საშინლად ითამაშა შინ, ისრაელთან — 0:0. აშკარად ჩანდა, რომ ზიდანის გარეშე გუნდი ვერ ლაგდება და ახალ თავკაცს, რაიმონ დომენეკს უჭირს.

„რაც ადრე ვთქვი იმას ვიმეორებ — განუცხადა „ეკიპს“ გი რუმ, — ზიდანის გადაწყვეტილება შოკი იყო. მე ვერ წარმომიდგენია, როგორ ხდება, რომ „რეალის“ და „იუვენტუსის“ ფეხბურთელები გვყავდეს და ისინი ნაკრებში არ თამაშობდნენ. კლუბები, რაგინდარა პრესტიჟული, ყველაფერი როდია. რა,








რაიმონ დომენეკის ნაკრებიდან წასულ ზინედინ ზიდანს, ცნობილმა გი რუმ გადაწყვეტილება დაუწუნა

საფრანგეთის ნაკრები აღარაფერს ნიშნავს? გულწრფელად გეუბნებით, სეზონი რომ დაიწყება და ხალხი ნახავს, რომ ზიდანი ჩემპიონთა ლიგის შეხვედრებს ჩინებულად ატარებს, ყველაფერი ძალიან უცნაურ და უშნო ელფერს მიიღებს. როდესაც მიშელ პლატინი ნაკრებიდან წავიდა, ის საერთოდ ფეხბურთიდან წავიდა. გარწმუნებთ, რომ თუ დომენეკს გაუჭირდება, თავი არ უნდა შეიზღუდოს და ვინც უნდა ის უნდა გამოიძახოს. ის ვალდებულია რაც შეიძლება ძლიერი ეროვნული გუნდი შექმნას“.

**პაპუნა ქედია**

# მარადიული არაფერია

## ეფენბერგს ძმაკაცის ცოლი ეყრება

*შტეფან ეფენბერგმა „ბაიერნში“ თამაშისას თომას შტრუნცს ცოლი, კლაუდია თამაშ-თამაშ რომ ასწაპნა, ძველი ამბავია. წყვილი ამჟამად ამერიკაში ცხოვრობს. მათ „ბილდის“ კორესპონდენტი ესტუმრა და გაარკვია, რომ ოკეანის გაღმა გახიზნულთა სიყვარულში თურმე ბზარი გაჩენილა. ქვემოთ ცოლქმრულ ინტერვიუს გთავაზობთ, რომელიც „ბილდში“ გამოქვეყნდა*



*ბილდი:* თქვენი სიყვარული რატომ განელდა?

*ეფენბერგი:* ამ კითხვაზე პასუხის მოსაფიქრებლად დიდი დრო დამჭირდება. ამერიკაში ჩასვლის დღიდან ყველაფერი საუცხოოდ იყო. კლაუდიასთან და მის ბავშვებთან ერთად თავს ისე ბედნიერად ვგრძნობდი, რომ ქვეყნად სხვა არაფერი მახსოვდა.

*ბილდი:* თუ ასე შეხმატკბილებულნი იყავით, რაღა დაგემართათ?

*ეფენბერგი:* კლაუდიაზე იმდენ დროს ვკარგავდი, რომ საკუთარ თავს ველარ ვაკონტროლებდი. ვიცი, ეს არანორმალურია, მაგრამ ასეთმა დამოკიდებულებამ ჩვენ შორის ურთიერთობა წაახდინა.

*კლაუდია:* ორი წლის განმავლობაში კარგი ურთიერთობა გვქონდა. ჩემს ბავშვებს არაფერი მოჰკლებიათ და შტეფანსაც შეეჩვივნენ.

*ბილდი:* და ახლა ერთად ცხოვრების პერსპექტივას რატომ ველარ ხედავთ?

*კლაუდია:* ცხოვრებაში მუდმივი არაფერია. ნელ-ნელა ვითარება შეიცვალა. შტეფანი ახლა ძალიან ბევრ დროს უთმობს სამწვრთნელო საქმეს და სწავლას. იგი თანდათანობით დაგვშორდა. მე და ბავშვები უკვე თავს ზედმეტად ვგრძნობთ.

*ბილდი: ახლა რას აპირებთ?*

*კლაუდია:* გერმანიაში დავბრუნდები და ჩემს თავს თავად მოვუვლი.

*ეფენბერგი:* მე კი ამერიკაში დარჩენა მსურს. ორი ლამაზად გატარებული წელი ლოგიკური დასასრულისკენ მიდის.

*ბილდი:* თქვენ ყოფილ მეუღლეს მარტინას დაუბრუნდებით?

*ეფენბერგი:* მაპატიეთ, მაგრამ ამ კითხვას უპასუხოდ დავტოვებ.




## ევროპის 2006 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

UNDER-21 Championship

### I ჯგუფი

**ჰოლანდია 0:0 ჩეხეთი**

**სომხეთი 0:1 ფინეთი**

0:1 კუკი (52)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| მაკედონია | 2 | 1 | 0 | 1 | 5:5 | 3 |
| ფინეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| ჩეხეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ჰოლანდია | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| სომხეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |

*8-9 ოქტომბერი: ჩეხეთი — რუმინეთი; ფინეთი — სომხეთი; მაკედონია — ჰოლანდია*

### III ჯგუფი

**ლუქსემბურგი 1:2 ლატვია**

0:1 ვისნაკოვსი (31), 1:1 დურერი (51), 1:2 კლავა (81)

**პორტუგალია 3:0 ესტონეთი**

1:0 სერჟიუ ლეიტე (13), 2:0, 3:0 უგო ალმეიდა (15, 80)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| რუსეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 3 |
| ლატვია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| სლოვაკეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:4 | 3 |
| ლუქსემბურგი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | 1 |
| ესტონეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |

*8 ოქტომბერი: სლოვაკეთი — ლატვია; ლუქსემბურგი — რუსეთი*

### IV ჯგუფი

**ისრაელი 1:0 კვიპროსი**

1:0 იცხაკი (32)

**შვეიცარია 4:2 ირლანდია**

1:0 ლიხშტაინერი (4), 2:0, 3:0 მარგარიაცი (49, 56), 3:1 ს. ელიოტი (63), 4:1 მაკკარტი (80ს.კ.), 4:2 მაკგიდი (86პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 1 | 1 | 0 | 0 | 4:2 | 3 |
| ირლანდია | 2 | 1 | 0 | 1 | 5:4 | 3 |
| საფრანგეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ისრაელი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| კვიპროსი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

*8 ოქტომბერი: საფრანგეთი — ირლანდია; ისრაელი — შვეიცარია*

### V ჯგუფი

**ნორვეგია 2:3 ბელარუსი**

1:0 ერიკსენი (26), 1:1 შიკაბარა (78), 2:1 მარკეგარდი (80), 2:2, 2:3 აფანასიევი (82, 85)

**მოლდოვა 0:1 იტალია**

0:1 ფლორო ფლორესი (90)

**შოტლანდია 1:1 სლოვენია**

1:0 გ. ოკონორი (11), 1:1 შემლერი (15)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| სლოვენია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ბელარუსი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| შოტლანდია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| მოლდოვა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |
| ნორვეგია | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |

*8 ოქტომბერი: სლოვენია — იტალია; ბელარუსი — მოლდოვა; შოტლანდია — ნორვეგია*

### VI ჯგუფი

**ავსტრია 3:0 აზერბაიჯანი**

1:0 ლასნიკი (38), 2:0 კინასტი (66), 3:0 შიკერი (71)

**პოლონეთი 1:3 ინგლისი**

1:0 ბურხარდტი (5), 1:1 კ. კოული (45), 1:2, 1:3 დ. ბენტი (72პ, 82)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| ავსტრია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| უელსი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| გერმანია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| პოლონეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| აზერბაიჯანი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

*8 ოქტომბერი: ავსტრია — პოლონეთი; ინგლისი — უელსი; აზერბაიჯანი — გერმანია*

### VII ჯგუფი

**ბოსნია 0:2 ესპანეთი**

0:1 სერხიო გარსია (66), 0:2 ნავასი (90)

**ლიტვა 2:0 სან მარინო**

1:0 პანკა (22), 2:0 სერნასი (38)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერბეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 5:0 | 3 |
| ბელგია | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ესპანეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ლიტვა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ბოსნია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| სან მარინო | 2 | 0 | 0 | 2 | 0:7 | 0 |

*8 ოქტომბერი: ესპანეთი — ბელგია; ბოსნია — სერბეთი*

### VIII ჯგუფი

**უნგრეთი 1:0 ისლანდია**

1:0 ფეშესინი (90)

**შვედეთი 0:2 ხორვატია**

0:1 გრგუროვიჩი (49), 0:2 და სილვა (69)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| ისლანდია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| უნგრეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| შვედეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| მალტა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ბულგარეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |

*8 ოქტომბერი: ხორვატია — ბულგარეთი; მალტა — ისლანდია; შვედეთი — უნგრეთი*

რეკლამა
სარბიელ—ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# ადრიანო ადრიანოზე ოცნებობს

*„მილანის" შეფი ადრიანო გალიანი ამბობს, რომ მისი ოცნებაა „შავწითელ" თავდასხმაში ერთმანეთის მხარდამხარ ანდრეი შევჩენკომ და ადრიანომ ითამაშონ — მოგეხსენებათ, ბრაზილიელი ფორვარდი გასულ ზამთარს „პარმიდან" „ინტერში" გადავიდა და „სან სიროს" „შავლურჯი" ნაწილის წარმომადგენელია*



ანდრეი შევჩენკოსა და ადრიანოს ერთად თამაში გამორიცხულიაო



„ამ სეზონისთვის ოთხი დიდებული თავდამსხმელი გვყავს და სანერვიულო ამიტომაც არაფერია, მაგრამ ერთ დღესაც შევჩენკოს მხარდამხარ ადრიანოს ნახვას ვინატრებდი — განაცხადა გალიანიმ „გაძეტა დელო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში — მართალია ეჭვი არ მეპარება, რომ ისინი ერთმანეთს ჩინებულად შეეწყობიან, მაინც ძალიან მაინტერესებს, როგორი სანახავი იქნებოდა ეს წყვილი".

ბუნებრივია, „მილანის" შეფის ასეთმა განცხადებამ გააჩინა ეჭვი, რომ მან „ინტერს" უკვე მიმართა ადრიანოს შეძენის სურვილით, მაგრამ გალიანიმ ხელები გაასავსავა:

„ასეთი ჭორების მოსმენაც კი არ მინდა. ადრიანოს „ინტერი" არ გაუშვებს, ხოლო ჩვენ შევას არ გავუშვებთ არსად. ასე, რომ მათი წყვილი სად უნდა შედგეს, გაუგებარია".

შემდეგ საუბარი მოახლოებულ სეზონზე ჩამოვარდა და ამასთან დაკავშირებით გალიანიმ თქვა, რომ მას ყველაზე მეტად თავისივე გუნდის ეშინია.

„ფავორიტობა ხელშემწყობი პოზიცია სულაც არ გახლავთ. მთელი ამ კომპლიმენტების მოსმენის შემდეგ ჩნდება იმის საშიშროება, რომ მართლა დავიჯერებთ სხვებზე უკეთესები რომ ვართ. ეს პრობლემა დაუყოვნებლივ უნდა გადაიჭრას, თორემ რისკის წინაშე დავდგებით".

ამასობაში კი „მილანმა", როგორც მოგახსენეთ, 2009 წლამდე ახალი ხელშეკრულება გაუფორმა ჰოლანდიელ ნახევარმცველს კლარენს ზეედორფს, რომელმაც განაცხადა, რომ მოლაპარაკებები კლუბთან ძალიან იოლად მიმდინარეობდა.

„მოლაპარაკებები ძალიან სასიამოვნო გამოვიდა. ფულის ამბავზე სულ სამი თუ ოთხი წუთის განმავლობაში ვსაუბრობდით. ჩვენი სურვილები იკვეთებოდა".

**პაპუნა ძედია**



ადრიანო გალიანი

# მოღალატის ბანდა



რობერტო მანჩინის „ლაციოს" შეფი კლაუდიო ლოტიტო სასამართლოთი ემუქრება

*„ლაციოს" ახალი პრეზიდენტი კლაუდიო ლოტიტო გუნდის ყოფილ მწვრთნელს, რობერტო მანჩინის სასამართლოთი ემუქრება, ზარალი უნდა აგანაზღაურებინოო*

„ჩემს იურისტებს მანჩინის საკითხის შესაწვლა ვთხოვე. მინდა საქმე ალვძრა" — მძვინვარებს ლოტიტო, რომელიც ვერ შეგუებია იმას, რომ როდესაც „ინტერის" საინტერნეტო გვერდი უკვე ოფიციალურად ადასტურებდა ახალი მწვრთნელის შეძენას, იგი ჯერ კიდევ „ლაციოსთან" იყო კონტრაქტით დაკავშირებული.

დიდი ხნის ამბავი არ არის და, ალბათ, გახსოვთ, რომ მოლაპარაკებები მანჩინისთან დაკაშირებით ორ კლუბს შორის რამდენიმე კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა და ლამის ბოლო წამამდე ისე ჩანდა, რომ მხარეები საერთო ენას ვერ პოულობდნენ, რომ უცბად ყველაფერი მოგვარდა.

გარდა ამისა, არ არის გამორიცხული, რომ ლოტიტო მანჩინის წინაალმდეგ „ლაციოდან" „მილანში" გადასული ჰოლანდიელი მცველის, იაპ სტამის განცხადებებმაც განაწყო. სტამმა ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, რომ გასული სეზონის მიწურულს, როდესაც ის და მანჩინი „ლაციოს" ფეხბურთელი და მწვრთნელი იყვნენ, მანჩინი მას „ინტერში" გადასვლისკენ მოუწოდებდა, მან კი „მილანი" ამჯობინა.

სხვათა შორის, მაშინ, როდესაც „ლაციო" და „ინტერი" მანჩინის საკითხზე დავობდნენ თუ ვაჭრობდნენ, ლოტიტო რომაული კლუბის პრეზიდენტი ჯერ არ იყო. ასე, რომ ყოფილ მწვრთნელზე წესით ისე ძალიანაც ვერ უნდა ბრაზდებოდეს, მაგრამ ვინაიდან მისი გამოთვლებით მთელი ამ ისტორიის გამო კლუბმა დაახლოებით 5-6 მილიონი დოლარი იზარალა, სასამართლოსკენ მიილტვის.

„მე მესმის „ლაციოს" ქომაგების განაწყენება" — წერს „კორიერე დელო სპორტისადმი" მიწერილ საპასუხო თუ მთელი ამ ისტორიის გასარკვევად შექმნილ ახსნა-განმარტებით წერილში მანჩინი — მათ არ სურდათ „ინტერში" გადავსულიყავი, მაგრამ ამ დამოკიდებულებას ვერაფერი გაამართლებს. მტკივნეული გადაწყვეტილების მიღებას ბოლო წუთამდე არ ვჩქარობდი, მაგრამ, როდესაც „ლაციომ" სათამაშო გეგმის ნიშანწყალიც არ დაკარგა, ველარ გავჩერდი. საერთოდ კი, მთელი კარიერის განმალობაში ერთი გამორჩეული თვისებით მიცნობდნენ — ყოველთვის სიმართლეს ვამბობდი".

„ლაციოს" ქომაგთა წრეში კი, ამასობაში, დიდი ამბავია. აპირებენ — რასაკვირველია ლოტიტოს დახმარებით — ადრე გამოშვებული მაისურები წარწერით „მანჩინის ბანდა" შეცვალონ მაისურებით, რომლებზეც „მანჩინი მოღალატე" ეწერება.

და ამასობაში ირკვევა, რომ სერია A-ს პირველ შეხვედრაში, „სამპდორიასთან" ვერ ითამაშებს ბრაზილიელი ნახევარმცველი სეზარი, რომელსაც ზურგი უტკენია.

**პაპუნა ძედია**

*საბოლოოდ, „ნაპოლი" სერია C1-შია! სერია B-ში პლეი-ოფის სისტემა ინერგება! ეს ყველაფერი იტალიის ფეხბურთის ფედერაციის იმ სხდომაზე გადაწყდა, რომელიც ბოლო დღეებში მოიწვიეს. ძირითადად განიხილებოდა პლეი-ოფის სისტემის დანერგვის საკითხი. პლეი-ოფმა ლიგაში აღზევებული და ლიგიდან გავარდნილი გუნდების ვინაობა უნდა გაარკვიოს და ეს ფედერაციის გადაწყვეტილებით 2004-2005 წლების სეზონიდანვე ანუ კვე ახლა შევა ძალაში*

# მორჩა, ნაპოლი ფიორენტინაა!



ლუჩანო გაუჩი

**არანაკლებ** მნიშვნელოვანი იყო „ნაპოლის" გამო ატეხილი ერთი შეხედვით დაუსრულებელი სასამართლო და სამართლებრივი დავის დასრულებაც. ყოფილმა პატრონმა ლუჩანო გაუჩიმ განაცხადა, რომ კლუბის დაბრუნებას აღარ შეეცდება, უბრალოდ, ზარალის ანაზღაურებას იტალიის ფეხბურთის ფედერაციას მოსთხოვს.

„ახლა ახალი ეპოქა იწყება, — განაცხადა ნეაპოლელთა ახალმა, გალიმებულმა პრეზიდენტმა აურელიო დე ლაურენტისმა — იმედი მაქვს, რომ ქომაგები მოთმინებით ალიჭურვებიან, თავიანთი კლუბისადმი კიდევ ერთხელ გამოამჟღავნებენ დიდ პატივისცემას. ამიერიდან მოქმედებაა საჭირო. ჩვენ წინ „ფიორენტინას" და მისი შეფის, დიეგო დელა ვალეს ბრწყინვალე მაგალითი გვაქვს. ახლა საჭიროა ჩამოვაყალიბოთ გამარჯვებისუნარიანი გუნდი".

გუშინაც მოგახსენეთ, მიუხედავად იმისა, რომ სატრანსფერო ფანჯარა უკვე დაკეტილია, საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე „ნაპოლისთვის" ფეხბურთელების ყიდვის პერიოდი 23 სექტემბრამდე გადადეს და აქედან გამომდინარე სერია C1-ის პირველი ორი ტური გადადებულია.

ხოლო „კომო" საერთოდ პროფესიული ფეხბურთის ლიგებიდან გააგდეს. სერია C1-ში მის ნაცვლად „ფიდელის ანდრია" აიყვანეს, ხოლო მისი ადგილი სერია C2-ში „პრო ვასტოს" მისცეს.

**პაპუნა ძედია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პატრიკ ვიეირას სალაპარაკო სამკლავური



საფრანგეთის ნაკრებს მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ახალი კაპიტანი ჰყავს — პატრიკ ვიეირა.

პორტუგალიაში ევროპის ჩემპიონატზე წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ მარსელ დესაი, ლილიან ტურამი, ბიქსენტ ლიზარაზუ და ზინედინ ზიდანი ეროვნულ გუნდს დაემშვიდობნენ. შედეგად, ჟაკ სანტინის შემცვლელმა რაიმონ დომენეკმა კაპიტნის სამკლავური ვიეირას შესთავაზა და ლონდონელი „მეთოფეც" დათანხმდა. არსენალელს უკვე 72 სანაკრებო კეპი მოუგროვდა და თვლის, რომ „სამფეროვანთა" გაძღოლას შეძლებს. „კაპიტნობა საამაყოა — თქვა ვიეირამ — ეს დიდი პატივია და შევეცდები, თავი არ შევირცხვინო. უკვე ორი წელია, „არსენალს" ვკაპიტნობ, ასე რომ, ეს როლი ჩემთვის ახალი არ არის".

ფრანგს ამიერიდან მოედანზე გაცილებით მეტი საუბარი მოუწევს, რადგან მას სამკლავური ავალდებულებს.

„არ მივეკუთვნები მოლაყბეთა კატეგორიას და გასახდელში მბრძანებლური ტონით ლაპარაკი არ მჩვევია, მაგრამ თანაგუნდელებისთვის საჭირო დროს რჩევის მიცემას ნაღდად შევძლებ. კაპიტნობას „არსენალში" მივეჩვიე და იგივეს გაკეთება მომიწევს ნაკრებშიც. ეს რთული არაა, მით უმეტეს, რომ გუნდში ბარტეზის, ანრისა და პირესის დარი გამოცდილი ფეხბურთელები გვყავს".

საფრანგეთის ამჟამინდელი ნაკრების საშუალო ასაკმა საგრძნობლად დაიწია მას შემდეგ, რაც „სამფეროვნებიდან" ვეტერანები წავიდნენ. რაიმონ დომენეკს ახალგაზრდებთან მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს და, ვიეირას აზრით, იგი მალე ძლიერ გუნდს შექმნის. „ჩვენ არჩევანის საშუალება არ გვქონდა — განაცხადა ვიეირამ — ახალი სისხლი გვჭირდებოდა. თითქმის ყველამ დომენეკის ხელში გავიარეთ და მან შესანიშნავად იცის, თუ როგორ მიიღოს მაქსიმალურად კარგი შედეგი. მახსოვს ის დრო, როცა ახალგაზრდულ ნაკრებში დომენეკის ხელქვეით ვთამაშობდით და არ მგონია, რომ ჩვენი ამჟამინდელი მწვრთნელის შეხედულებები ფეხბურთზე დიდად შეცვლილიყო, თუმც რაც დანიშნეს, ერთმანეთთან გულწრფელად ჯერ არ გვილაპარაკია, რადგან საამისო დრო ვერ გამოვნახე. ჩვენთვის ახალი თავგადასავალი იწყება. ძველების ადგილზე მომავალი თაობა მოვიდა. ბევრი ოფლის ღვრა დაგვჭირდება შესათამაშებლად, მაგრამ მჯერა, რომ წარმატება არ დაახანებს".

ვაჟა ხუციშვილი

# ჯორკაეფს გულმა პრემიერლიგა უკარნახა



ლივერპულის „ევერტონი" იური ჯორკაეფის გადაბირებას აპირებს. ამის შესახებ მერსისაიდული კლუბის მწვრთნელმა დევიდ მოიესმა განაცხადა. „ევერტონმა" უეინ რუნის გაყიდვით ფული იშოვა და ახლა ახალი ფეხბურთელების შეძენა სურს.

36 წლის იური ჯორკაეფი ახლა თავისუფალი აგენტია, რადგან გასული სეზონის ბოლოს „ბოლტონთან" კონტრაქტი აღარ გაახანგრძლივა და საფრანგეთში დაბრუნდა.

„რამდენიმე კლუბი დამიკავშირდა ჩემი კლიენტის თაობაზე — თქვა ფეხბურთელის აგენტმა ვილი მაკკეიმ — ჯორკაეფი პროფესიონალია და კვლავაც შეუძლია პრემიერლიგაში მაღალ დონეზე თამაში. ჩვენ ყველა ვარიანტს განვიხილავთ, მათ შორისაა „ევერტონიც".

თავად ფრანგმა კი თქვა: „მე ჯანზე ვარ და ფორმის შესანარჩუნებლად მუდმივად ვვარჯიშობ. აგენტს ვთხოვე, ჩემთვის სხვა რომელიმე პრემიერლიგური კლუბი მოეძებნა, რადგან იქ თამაში ძალიან მომწონს და მომენატრა".

ვაჟა ხუციშვილი



რუბენ ბარახა

ესპანეთის ნაკრებისა და „ვალენსიას" ნახევარმცველ რუბენ ბარახას მიაჩნია, რომ საფეხბურთო კალენდარი ძალიან გადატვირთულია, რის გამოც მოთამაშეებს მუდმივად მაღალ დონეზე გამოსვლა უჭირთ. „ის, რასაც ფიფელი და უეფელი ჩინოვნიკები აკეთებენ, დიდი სისულელეა — ბრაზობს ბარახა — მათ ფეხბურთი აშკარა სიკვდილისკენ მიჰყავთ"

# ბარახა კალენდრის დახევას ითხოვს

„ვალენსიას" ნახევარმცველმა შარშანდელ 64 მატჩი ითამაშა, მათ შორის ბოლო 21 დღეში ცხრაჯერ მოუწია მოედანზე გასვლა. ამიტომ ფიქრობს, რომ სანაკრებო, ევროთასებისა და შინაური ჩემპიონატების შეხვედრებით სავსე სეზონს განტვირთვა აუცილებლად სჭირდება. „დარწმუნებული ვარ, ფეხბურთი საბოლოოდ უინტერესო გახდება, რადგან გადაღლილი მოთამაშეები მატჩიდან მატჩამდე სათანადოდ ველარ ემზადებიან, რაც ფეხბურთის ხარისხს აქვეითებს. ქომაგიც გულს აიცრუებს და ჩვენს სანახავად აღარავინ მოვა".

რუბენ ბარახამ მაგალითად თანაგუნდელი რობერტო აილა მოიყვანა. არგენტინელმა გასულ სეზონში ჩემპიონატშიც და უეფას თასზეც თითქმის ყველა შეხვედრაში ითამაშა. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევშიც ეხმარებოდა არგენტინას, „კოპა ამერიკაზეც" იყო და ათენში ოლიმპიადაც არ გამოუტოვებია. ბოლოს მუხლის მყესები დაიწყვიტა და საოპერაციო გახდა.

„ყველას გვინდა, ფეხბურთისგან სიამოვნება მივიღოთ, მაგრამ როცა აიალას ვუყურებთ, გვეშინია, იგივე არ დაგვემართოს".

გასულ უქმეებზე არგენტინა პერუს ესტუმრა და 3:1 მოუგო. საამმატჩოდ „ვალენსიადან" პაბლო აიმარი გამოიძახეს, თუმც ესპანურმა კლუბმა ფეხბურთელის ტრავმიანობა მოიმიზეზა და სამშობლოში არ გაუშვა. ამის გამო მარსელო ბიელსა განრისხდა და „ვალენსიას" დაემუქრა.

ვაჟა ხუციშვილი



რობერტო აიალა



ხალილუ ფადიგა

# ოქროკაცი ბოლტონში

სენეგალელი ხალილუ ფადიგა იმითაა ცნობილი, რომ კორეა-იაპონიაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ოქროულიბის მაღაზიიდან სამკაულები მოიპარა. მერე აღიარა, არ მომიპარავს, მეგობარს დავენიძლავე და სიტყვა შევასრულეო.

ხალილუ ფადიგა უკვე ერთი კვირაა „ბოლტონში" ვარჯიშობს და შესაძლოა, მალე ამ გუნდის მაისურა მოირგოს. მისმა აგენტმა ჩარლზ კოლიმორმა განაცხადა, კლუბთან სიტყვიერად შევთანხმდითო.

სენაგელი ფეხბურთელი თუ „ბოლტონში" გადავიდა, არ მოიწყენს, რადგან მას იქ თანამემამულე ელ ჰაჯი დიუფი დახვდება, რომელიც „ლივერპულში" მისულმა ესპანელმა რაფაელ ბენიტესმა დაიწუნა.

აქვე გავიხსენოთ, რომ ხალილუ ფადიგა მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შემდეგ „ინტერმა" იყიდა, მაგრამ ფეხბურთელს ექიმებმა გული დაუწუნეს და მილანიდან ბოდიშით გაუშვეს.

ვაჟა ხუციშვილი

# ლაუთი, ერთი თვით აუტში

გერმანული „ჰამბურგის" ფორვარდი ბენჟამინ ლაუტი გუნდს ოთხი თვით დააკლდება. ლაუტი „ჰამბურგმა" მეორე ბუნდესლიგაში გავარდნილი „მიუნხენ 1860"-დან გასულ ზაფხულს შეიძინა. გერმანელმა ფეხბურთელმა ჯერ კიდევ მიუნხენში თამაშისას, აპრილში მოიტეხა ფეხი. აღსანიშნავია, რომ ფორვარდი მის მომავალ კლუბთან, „ჰამბურგთან" მატჩში დაშავდა. ლაუტმა ოთხი თვე იმკურნალა და მომჯობინდა კიდეც, მაგრამ ბუნდესლიგის მესამე ტურში, „ნიურნბერგთან" შეხვედრაში ტრავმამ კვლავ შეახსენა თავი და ისევ საოპერაციო გახდა.

კლაუს ტოპმიოლერის „ჰამბურგს" სეზონის დაწყებიდანვე უჭირდა შეტევაში და ბენჟამინ ლაუტის მომჯობინებას ელოდა. „ის ჩვენთვის დიდი დანაკლისია, რადგან ფაქტობრივად, მთავარი თავდამსხმელის გარეშე ვრჩებით" — თქვა შეფიქრიანებულმა ტოპმიოლერმა.

ვაჟა ხუციშვილი



## სარბიელი და კრონოსი

# წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა. V ტური | | | | | | |
| | | 11 სექტემბერი | | | | | | |
| 15.45 | 025 | ასტონ ვილა-ჩელსი | 3.5 | 3,3 | 1,95 | 1,69 | 1,25 | 1,22 |
| 18.00 | 026 | ბოლტონი-მანჩესტერი | 3.6 | 3,3 | 1,9 | 1,72 | 1,24 | 1,2 |
| 18.00 | 027 | ფულჰემი-არსენალი | 6,0 | 3,5 | 1,55 | 2.21 | 1,23 | 1,07 |
| 18.00 | 028 | ლივერპული-ვესტ ბრომვიჩი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2.6 |
| 18.00 | 029 | სიტი-ევერტონი | 1.9 | 3.2 | 3,8 | 1.19 | 1.26 | 1,73 |
| 18.00 | 030 | მიდლსბრო-ბირმინგემი | 1,85 | 3.2 | 4,0 | 1.17 | 1,26 | 1.77 |
| 18.00 | 031 | ნიუკასლი-ბლექბერნი | 1,65 | 3.4 | 5,0 | 1.11 | 1.24 | 2,02 |
| 20.15 | 032 | პორტსმუთი-კრისტალ პალასი | 1,65 | 3.4 | 5.0 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| | | 12 სექტემბერი | | | | | | |
| 19.05 | 033 | ტოტენჰემი-ნორვიჩი | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| | | 13 სექტემბერი | | | | | | |
| 23.00 | 034 | ჩარლტონი-საუთჰემპტონი | 1.9 | 3.3 | 3.6 | 1,2 | 1.24 | 1,72 |
| | | ინგლისი. ჩემპიონატი. VII ტური | | | | | | |
| | | 11 სექტემბერი | | | | | | |
| 18.00 | 101 | ბარნლი-ქრიუ | 2,0 | 3.2 | 3.4 | 1,23 | 1,25 | 1.64 |
| 18.00 | 102 | დერბი-რედინგი | 2,45 | 3,2 | 2,5 | 1,38 | 1,23 | 1,4 |
| 18.00 | 103 | ჯილინგემი-სანდერლენდი | 2,4 | 3,2 | 2.6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 18.00 | 104 | ლიდსი-ქოვენთრი | 2,05 | 3,2 | 3,3 | 1,24 | 1,26 | 1,62 |
| 18.00 | 105 | ნოტინგემი-კარდიფი | 1,9 | 3,2 | 3.6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 18.00 | 106 | პრესტონი-სტოკი | 2.35 | 3.2 | 2,7 | 1.35 | 1,25 | 1,46 |
| 18.00 | 107 | ქპრ-პლიმუთი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1.24 | 1,43 |
| 18.00 | 108 | როტერჰემი-ლესტერი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| 18.00 | 109 | შეფილდი-ვესტ ჰემი | 2,25 | 3,2 | 2,9 | 1.32 | 1.26 | 1,52 |
| 18.00 | 110 | უოტფორდი-ბრაიტონი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1.15 | 1,24 | 1,77 |
| 18.00 | 111 | ვულვერჰემპტონი-უიგანი | 2,4 | 3.2 | 2,6 | 1,37 | 1.24 | 1,43 |
| | | 12 სექტემბერი | | | | | | |
| 16.00 | 112 | იფსვიჩი-მილუოლი | 1.8 | 3.2 | 4.0 | 1.15 | 1,24 | 1,77 |
| | | ინგლისი. I ლიგა. VIII ტური | | | | | | |
| | | 11 სექტემბერი | | | | | | |
| 18.00 | 115 | ბარნსლი-ტრანმერი | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,37 | 1,22 | 1,4 |
| 18.00 | 116 | ბორნმუთი-კოლჩესტერი | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,52 |
| 18.00 | 117 | ბრისტოლი-სტოკპორტი | 1.55 | 3,4 | 5,6 | 1.06 | 1,21 | 2,11 |
| 18.00 | 118 | ჰალი-ბლეკპული | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1.21 | 2,11 |
| 18.00 | 119 | ლუტონი-ჩესტერფილდი | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1.21 | 1.95 |
| 18.00 | 120 | დონსი-დონკასტერი | 2,35 | 3.2 | 2,6 | 1,35 | 1,23 | 1.43 |
| 18.00 | 121 | ოლდემი-ჰარტლპული | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,52 |
| 18.00 | 122 | პორტ ვეილი-ჰადერსფილდი | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1.19 | 1,72 |
| 18.00 | 123 | სუინდონი-პიტერბორო | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2.02 |
| 18.00 | 124 | ტორკი-ბრენტფორდი | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1.37 | 1,22 | 1,4 |
| 18.00 | 125 | უოლსოლი-უენსდი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1.33 | 1,24 | 1,46 |
| 18.00 | 126 | რექსემი-ბრედფორდი | 2,15 | 3,2 | 3,0 | 1,28 | 1,25 | 1,54 |
| | | ინგლისი. II ლიგა. VIII ტური | | | | | | |
| | | 11 სექტემბერი | | | | | | |
| 18.00 | 127 | კემბრიჯი-მენსფილდი | 2.45 | 3,2 | 2,45 | 1.38 | 1,22 | 1,38 |
| 18.00 | 128 | ჩელტენჰემი-იოვილი | 2.35 | 3.2 | 2.6 | 1.35 | 1,23 | 1,43 |
| 18.00 | 129 | ლეიტონი-როვერსი | 2.4 | 3,2 | 2,5 | 1,37 | 1,22 | 1,4 |
| 18.00 | 130 | ლინკოლნი-ბოსტონი | 2.25 | 3,2 | 2,8 | 1,32 | 1,24 | 1,49 |
| 18.00 | 131 | მაკლსფილდი-გრიმსბი | 2,05 | 3,2 | 3,2 | 1,24 | 1,24 | 1,6 |
| 18.00 | 132 | ნორთჰემპტონი-ნოტსი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1.14 | 1,21 | 1,8 |
| 18.00 | 133 | ოქსფორდი-რაშდენი | 1,65 | 3,4 | 4.6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| 18.00 | 134 | როჩდეილი-დარლინგტონი | 2,2 | 3.2 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1.52 |
| 18.00 | 135 | სკანთორპი-ჩესტერი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 18.00 | 136 | შრუსბერი-ბერი | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| 18.00 | 137 | საუთენდი-უიკომბი | 2,45 | 3,2 | 2,45 | 1,38 | 1,22 | 1,38 |
| 18.00 | 138 | სუონსი-კიდერმინსტერი | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| | | ინგლისი. კონფერენსი. VII ტური | | | | | | |
| | | 11 სექტემბერი | | | | | | |
| 18.00 | 141 | ქროული-იორკი | 2,0 | 3,3 | 3,2 | 1,24 | 1,23 | 1,62 |
| 18.00 | 142 | დაგ ენდ რედი-აკრინგტონი | 2,25 | 3,3 | 2,7 | 1,33 | 1,22 | 1,48 |
| 18.00 | 143 | ფარნბორო-კანვი | 2,35 | 3,2 | 2,6 | 1,35 | 1,23 | 1,43 |
| 18.00 | 144 | გრეივსენდი-ჰერეფორდი | 2,35 | 3,3 | 2,5 | 1,37 | 1,21 | 1,42 |
| 18.00 | 145 | ჰალიფაქსი-ფორესტ გრინი | 1,4 | 4,0 | 6,5 | 1,03 | 1,15 | 2,47 |
| 18.00 | 146 | ლეი-ალდერშოტი | 2,9 | 3,3 | 2,15 | 1,54 | 1,23 | 1,3 |
| 18.00 | 147 | ნორთვიჩი-მორკემბი | 2,4 | 3,3 | 2,45 | 1,38 | 1,21 | 1,4 |
| 18.00 | 148 | სკარბორო-ექსეტერი | 2,15 | 3,3 | 2,9 | 1,3 | 1,23 | 1,54 |
| 18.00 | 149 | სტივენიჯი-ბარტონი | 1,55 | 3,6 | 5,0 | 1,08 | 1,18 | 2.09 |
| 18.00 | 150 | ტემუორთი-ბარნეტი | 2,8 | 3,3 | 2,2 | 1,51 | 1,23 | 1,32 |
| 18.00 | 151 | უოკინგი-კარლაილი | 2,6 | 3,3 | 2.3 | 1,45 | 1,22 | 1,35 |
| | | შოტლანდია. პრემიერლიგა. V ტური | | | | | | |
| | | 11 სექტემბერი | | | | | | |
| 18.00 | 154 | სელტიკი-დანდი | 1,12 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,03 | 4,19 |
| 18.00 | 155 | დანდი იუნაიტედი-აბერდინი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| 18.00 | 156 | დანფერმლაინი-მაზერველი | 2.25 | 3,2 | 2,9 | 1,32 | 1,26 | 1,52 |
| 18.00 | 158 | ინვერნესი-ჰიბერნიანი | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| 18.00 | 159 | ლივინგსტონი-კილმარნოკი | 2.25 | 3.2 | 2,9 | 1,32 | 1,26 | 1.52 |
| | | 12 სექტემბერი | | | | | | |
| 17.00 | 160 | ჰართსი-რეინჯერსი | 5.0 | 3.5 | 1.6 | 2,05 | 1,21 | 1,09 |
| | | შოტლანდია. I დივიზიონი. VI ტური | | | | | | |
| | | 11 სექტემბერი | | | | | | |
| 18.00 | 163 | კლაიდი-ეირდრი | 1,45 | 3.8 | 6,0 | 1,04 | 1,16 | 2.32 |
| 18.00 | 164 | ფოლკირკი-რეითი | 1,35 | 4,2 | 7,0 | 1,02 | 1,13 | 2,62 |
| 18.00 | 165 | ქუინი-ჰამილტონი | 2,2 | 3,5 | 2,6 | 1,35 | 1,19 | 1,49 |
| 18.00 | 166 | როსი-სტ.ჯონსტონი | 2,3 | 3,4 | 2,5 | 1,37 | 1,19 | 1,44 |
| 18.00 | 167 | სტ.მირენი-პარტიკი | 2,3 | 3,4 | 2,5 | 1,37 | 1,19 | 1,44 |
| | | შოტლანდია. II დივიზიონი. VI ტური | | | | | | |
| | | 11 სექტემბერი | | | | | | |
| 18.00 | 169 | აირი-ფორფარი | 2,15 | 3,5 | 2,7 | 1,33 | 1,19 | 1,52 |
| 18.00 | 170 | ბერვიკი-ალოა | 1,75 | 3,6 | 3,5 | 1,17 | 1,16 | 1,77 |
| 18.00 | 171 | ბრეჩინი-არბროთი | 1,5 | 4,0 | 5,0 | 1,09 | 1,15 | 2,22 |
| 18.00 | 172 | დამბარტონი-სტრანრაერი | 2,15 | 3,5 | 2,7 | 1,33 | 1,19 | 1,52 |
| 18.00 | 173 | სტერლინგი-მორტონი | 2,25 | 3,5 | 2,5 | 1,36 | 1,18 | 1,45 |
| | | შოტლანდია. III დივიზიონი. VI ტური | | | | | | |
| | | 11 სექტემბერი | | | | | | |
| 18.00 | 175 | ალბიონი-სტენჰაუსმუირი | 2,5 | 3,5 | 2,25 | 1,45 | 1,18 | 1,36 |
| 18.00 | 176 | კოუდენბითი-ელგინი | 2,25 | 3,5 | 2,5 | 1,36 | 1,18 | 1,45 |
| 18.00 | 177 | ისტ ფაიფი-ისტ სტერლინგი | 1,1 | 6,0 | 12,0 | 1 | 1 | 4 |
| 18.00 | 178 | პიტერჰედი-გრეტნა | 2,35 | 3,4 | 2,45 | 1,38 | 1,19 | 1,42 |
| 18.00 | 179 | ქუინს პარკი-მონტროუზი | 2,0 | 3,5 | 3,0 | 1,27 | 1.2 | 1,61 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | გერმანია. ბუნდესლიგა. IV ტური | | | | | | |
| | | 11 სექტემბერი | | | | | | |
| 17.30 | 035 | მიონხენგლადბახი-ვერდერი | 3,1 | 3,2 | 2,2 | 1,57 | 1,28 | 1,3 |
| 17.30 | 036 | ვოლფსბურგი-შალკე | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 17.30 | 037 | შტუტგარტი-ჰამბურგი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 17.30 | 038 | მაინცი-ლევერკუზენი | 3,5 | 3,3 | 1,95 | 1,69 | 1,25 | 1,22 |
| 17.30 | 039 | ბაიერნი-არმინია | 1,2 | 5,6 | 11,0 | 1 | 1,08 | 3,71 |
| 17.30 | 040 | ბოხუმი-დორტმუნდი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 17.30 | 041 | ნიურნბერგი-ჰერტა | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| | | 12 სექტემბერი | | | | | | |
| 19.30 | 042 | ჰანოვერი-ფრაიბურგი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 19.30 | 043 | ჰანზა-კაიზერსლაუტერნი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| | | გერმანია. II ბუნდესლიგა. IV ტური | | | | | | |
| | | 10 სექტემბერი | | | | | | |
| 21.00 | 181 | ბურგჰაუზენი-საარბრიუკენი | 1,65 | 3,4 | 4,8 | 1,11 | 1,22 | 1,99 |
| 21.00 | 182 | კოტბუსი-ობერჰაუზენი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 21.00 | 183 | აინტრახტი-დინამო | 1,55 | 3,5 | 5,6 | 1,07 | 1,21 | 2,15 |
| | | 12 სექტემბერი | | | | | | |
| 17.00 | 184 | უნტერჰახინგი-ალემანია | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 17.00 | 185 | კარლსრუე-კიოლნი | 2,7 | 3,2 | 2,35 | 1,46 | 1,25 | 1.35 |
| 17.00 | 186 | დუისბურგი-ესენი | 1,65 | 3,4 | 4,8 | 1,11 | 1,22 | 1,99 |
| 17.00 | 187 | ტრიერი-ფიურტი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| 17.00 | 188 | აუე-ალენი | 1,7 | 3,4 | 4,4 | 1,13 | 1,22 | 1,91 |
| | | 13 სექტემბერი | | | | | | |
| 22.15 | 189 | ერფურტი-მიუნხენი | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| | | გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). VIII ტური | | | | | | |
| | | 11 სექტემბერი | | | | | | |
| 16.00 | 196 | პადერბორნი-სტ.პაული | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1.08 | 1,21 | 2,02 |
| | | 12 სექტემბერი | | | | | | |
| 17.00 | 199 | ლიუბეკი-კილი | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1.88 |
| | | გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). VI ტური | | | | | | |
| | | 10 სექტემბერი | | | | | | |
| 21.30 | 202 | ზიგენი-კობლენცი | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,19 | 1,23 | 1,67 |
| | | 11 სექტემბერი | | | | | | |
| 16.30 | 203 | დარმშტადტი-ვეენი | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| | | იტალია. სერია A. I ტური | | | | | | |
| | | 11 სექტემბერი | | | | | | |
| 20.00 | 044 | კიევო-ინტერი | 4,6 | 3,2 | 1,75 | 1.88 | 1,26 | 1,13 |
| 22.30 | 045 | მილანი-ლივორნო | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | | 12 სექტემბერი | | | | | | |
| 17.00 | 046 | ატალანტა-ლეჩე | 2,0 | 3,0 | 3,8 | 1,2 | 1,31 | 1,67 |
| 17.00 | 047 | ბრეშა-იუვენტუსი | 4,2 | 3,2 | 1,8 | 1,81 | 1,26 | 1,15 |
| 17.00 | 048 | კალიარი-ბოლონია | 2,3 | 2,9 | 3,2 | 1,28 | 1,33 | 1,52 |
| 17.00 | 049 | პალერმო-სიენა | 1,75 | 3,0 | 5,0 | 1,1 | 1,29 | 1,87 |
| 17.00 | 050 | პარმა-მესინა | 1,5 | 3,5 | 7,0 | 1,04 | 1,23 | 2,33 |
| 17.00 | 051 | რეჯინა-უდინეზე | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |
| 17.00 | 052 | რომა-ფიორენტინა | 1,65 | 3,2 | 5,6 | 1,08 | 1,27 | 2,03 |
| 17.00 | 053 | სამპდორია-ლაციო | 2,1 | 3,1 | 3,4 | 1,25 | 1,29 | 1,62 |
| | | იტალია. სერია B. I ტური | | | | | | |
| | | 10 სექტემბერი | | | | | | |
| 22.30 | 214 | ტორინო-ვერონა | 1,45 | 3,5 | 7,5 | 1.02 | 1,21 | 2,38 |
| | | 11 სექტემბერი | | | | | | |
| 22.30 | 206 | არეცო-კატანია | 2,35 | 2.6 | 3,3 | 1,23 | 1,37 | 1,45 |
| 22.30 | 207 | კატანძარო-ბარი | 2,0 | 2,7 | 4,2 | 1,14 | 1,35 | 1,64 |
| 22.30 | 208 | ჩეზენა-ტრიესტინა | 2,4 | 2,6 | 3,2 | 1,24 | 1,37 | 1,43 |
| 22.30 | 209 | ემპოლი-ასკოლი | 2,1 | 2,6 | 4,0 | 1,16 | 1,37 | 1,57 |
| 22.30 | 211 | პერუჯა-კროტონე | 1,55 | 3,2 | 7,0 | 1,04 | 1,26 | 2.19 |
| 22.30 | 212 | პესკარა-პიაჩენცა | 2.8 | 2,6 | 2,7 | 1.34 | 1.37 | 1,32 |
| 22.30 | 213 | სალერნიტანა-ტრევიზო | 1,8 | 2,7 | 5,0 | 1,08 | 1,32 | 1.75 |
| 22.30 | 215 | ვენეცია-ალბინოლეფე | 2,0 | 2,7 | 4,2 | 1,14 | 1,35 | 1,64 |
| 22.30 | 216 | ვიჩენცა-ტერნანა | 2,0 | 2,7 | 4,2 | 1,14 | 1,35 | 1,64 |
| | | 13 სექტემბერი | | | | | | |
| 22.30 | 210 | მოდენა-ჯენოა | 2,2 | 2,6 | 3,6 | 1,19 | 1,36 | 1,5 |
| | | ესპანეთი. I დივიზიონი. II ტური | | | | | | |
| | | 11 სექტემბერი | | | | | | |
| 20.00 | 054 | ბილბაო-ვალენსია | 2,9 | 3,1 | 2,35 | 1,49 | 1,29 | 1,33 |
| 22.00 | 055 | ბარსელონა-სევილია | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 22.00 | 056 | რეალი-ნუმანსია | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | | 12 სექტემბერი | | | | | | |
| 20.00 | 057 | დეპორტივო-ოსასუნა | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 21.30 | 058 | ბეტისი-ესპანიოლი | 1,9 | 3,2 | 3.8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 21.30 | 059 | ხეტაფე-მალიორკა | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1.35 | 1,29 | 1,47 |
| 21.30 | 060 | ლევანტე-რასინგი | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |
| 21.30 | 061 | მალაგა-სარაგოსა | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |
| 21.30 | 062 | ვილიარეალი-სოსიედადი | 1.8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1.81 |
| 23.30 | 063 | ალბასეტე-ატლეტიკო | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1.38 |
| | | საფრანგეთი. I დივიზიონი. V ტური | | | | | | |
| | | 11 სექტემბერი | | | | | | |
| 19.15 | 253 | ბასტია-ოსერი | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| 22.00 | 254 | კაენი-ლანსი | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| 22.00 | 255 | ისტრი-პსჟ | 3,4 | 3.2 | 2,05 | 1,64 | 1,27 | 1,24 |
| 22.00 | 256 | ლილი-ნიცა | 1,9 | 3,1 | 4,0 | 1,17 | 1,28 | 1,74 |
| 22.00 | 257 | მეცი-ბორდო | 2,25 | 3,1 | 3,1 | 1.3 | 1,3 | 1,55 |
| 22.00 | 258 | მონაკო-სტრასბური | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| 22.00 | 259 | რენი-ლიონი | 2,7 | 3,1 | 2,45 | 1,44 | 1,28 | 1,36 |
| 22.00 | 260 | სტ.ეტიენი-ნანტი | 2,3 | 3,1 | 3,0 | 1,32 | 1.3 | 1,52 |
| 22.00 | 261 | ტულუზი-აიაჩიო | 1,75 | 3.2 | 4.6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| | | 12 სექტემბერი | | | | | | |
| 23.00 | 262 | სოშო-მარსელი | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| | | პორტუგალია. სუპერლიგა. II ტური | | | | | | |
| | | 10 სექტემბერი | | | | | | |
| 00.30 | 277 | ჟილ ვისენტე-ბოავიშტა | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| | | 11 სექტემბერი | | | | | | |
| 19.00 | 278 | მარიტიმუ-პენაფიელი | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 21.00 | 279 | ლეირია-ესტორილი | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| 22.15 | 280 | ბრაგა-პორტუ | 4.4 | 3,3 | 1,75 | 1,88 | 1,25 | 1,14 |
| 00.15 | 281 | ბენფიკა-მორეირენსე | 1,22 | 5,3 | 11,0 | 1 | 1,09 | 3,57 |
| | | 12 სექტემბერი | | | | | | |
| 19.00 | 282 | ნასიონალი-ბეირა მარი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 22.30 | 283 | სეტუბალი-სპორტინგი | 3,8 | 3,3 | 1,85 | 1,76 | 1,24 | 1,18 |
| | | 13 სექტემბერი | | | | | | |
| 23.30 | 284 | რიუ ავე-ბელენენსეში | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ჰოლანდია. I დივიზიონი. IV ტური | | | | | | |
| | | 10 სექტემბერი | | | | | | |
| 22.00 | 298 | ალკმაარი-დენ ბოსხი | 1,4 | 4,0 | 7.5 | 1.03 | 1.17 | 2.6 |
| | | 11 სექტემბერი | | | | | | |
| 20.00 | 299 | დენ ჰააგი-აიაქსი | 6.5 | 4.0 | 1.45 | 2.47 | 1.18 | 1.06 |
| 21.30 | 300 | ჰერენვენი-გრააფსხაპი | 1,4 | 4,0 | 7.5 | 1.03 | 1.17 | 2.6 |
| 21.30 | 301 | პსვ-ვალვაიკი | 1,22 | 5.3 | 11.0 | 1 | 1.09 | 3.57 |
| 21.30 | 302 | როზენდაალი-ვიტესი | 2.4 | 3.2 | 2,7 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| | | 12 სექტემბერი | | | | | | |
| 16.30 | 303 | ფეიენოორდი-ტვენტე | 1,25 | 5.0 | 10,0 | 1 | 1.11 | 3.33 |
| 16.30 | 304 | გრონინგენი-ბრედა | 2.25 | 3,2 | 3,0 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 16.30 | 305 | უტრეხტი-ნაიმეგენი | 1.8 | 3.3 | 4.0 | 1.16 | 1.24 | 1.8 |
| 16.30 | 306 | ტილბურგი-როდა | 2,25 | 3.2 | 3.0 | 1.32 | 1,28 | 1.54 |
| | | ბელგია. I დივიზიონი. V ტური | | | | | | |
| | | 11 სექტემბერი | | | | | | |
| 22.00 | 320 | ოსტენდე-ანდერლეხტი | 6.0 | 3.8 | 1.5 | 2,32 | 1.2 | 1.07 |
| 22.00 | 321 | ბრიუსელი-ვესტერლო | 2.35 | 3.2 | 2.8 | 1.35 | 1,27 | 1.49 |
| 22.00 | 322 | შარლერუა-ბრიუგე | 5.6 | 3.6 | 1,55 | 2.19 | 1.21 | 1.08 |
| 22.00 | 323 | გენტი-სტ.ტრუიდენი | 1.6 | 3.5 | 5.3 | 1.09 | 1.22 | 2.1 |
| 22.00 | 324 | ლიერსი-მონსი | 1,75 | 3.2 | 4.6 | 1.13 | 1.26 | 1.88 |
| | | 12 სექტემბერი | | | | | | |
| 17.00 | 325 | სერკლე-ბეერსხოტი | 2.35 | 3.2 | 2.8 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| 17.00 | 326 | მუსკრონი-ბევერენი | 1.6 | 3.5 | 5.3 | 1.09 | 1.22 | 2.1 |
| 17.00 | 327 | ლოკერენი-ლევენი | 2.2 | 3.2 | 3.1 | 1.3 | 1.28 | 1.57 |
| 22.00 | 328 | გენკი-სტანდარდი | 2.2 | 3.2 | 3.1 | 1.3 | 1.28 | 1.57 |
| | | ავსტრია. ბუნდესლიგა. VII ტური | | | | | | |
| | | 11 სექტემბერი | | | | | | |
| 20.00 | 342 | ბრეგენცი-მატერსბურგი | 2.1 | 3.2 | 3.2 | 1,26 | 1,26 | 1.6 |
| 20.00 | 343 | რაპიდი-ადმირა | 1.65 | 3.4 | 4.8 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| 20.00 | 344 | ზალცბურგი-შტურმი | 1.9 | 3.2 | 3.6 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 20.00 | 345 | ტიროლი-პაშინგი | 2,25 | 3.2 | 2.9 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| | | 12 სექტემბერი | | | | | | |
| 17.30 | 346 | გრაცერი-აუსტრია | 2.25 | 3.2 | 2.9 | 1.32 | 1,26 | 1.52 |
| | | ავსტრია. I დივიზიონი. VII ტური | | | | | | |
| | | 10 სექტემბერი | | | | | | |
| 21.00 | 348 | აუსტრია(ლ)-ვორგლი | 1,45 | 3.8 | 6.0 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| 21.00 | 349 | გრატკორნი-ალტახი | 1,9 | 3.3 | 3.4 | 1.2 | 1.21 | 1.67 |
| 21.00 | 350 | ლეობენი-ლინცერი | 1.45 | 3.8 | 6.0 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| 21.00 | 351 | რიდი-კურნტენი | 2.3 | 3.1 | 2.8 | 1.32 | 1.26 | 1.47 |
| 21.00 | 352 | უნტერზიბენბრუნი-კაპფენბერგი | 4.8 | 3,5 | 1.55 | 2.02 | 1.17 | 1.07 |
| | | შვეიცარია. სუპერლიგა. VIII ტური | | | | | | |
| | | 11 სექტემბერი | | | | | | |
| 21.30 | 354 | აარაუ-სტ.გალენი | 2.15 | 3.2 | 3.1 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 21.30 | 355 | სერვეტი-შაფჰაუზენი | 1.65 | 3.4 | 4.8 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| 21.30 | 356 | თუნი-ქსამაქსი | 1.75 | 3.3 | 4.2 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 21.30 | 357 | ციურიხი-იანგ ბოისი | 2.3 | 3.2 | 2.8 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| | | 12 სექტემბერი | | | | | | |
| 18.15 | 358 | ბაზელი-გრასჰოპერი | 1.65 | 3.4 | 4.8 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| | | დანია. სუპერლიგა. VII ტური | | | | | | |
| | | 11 სექტემბერი | | | | | | |
| 19.00 | 370 | რანდერსი-კოპენჰაგენი | 7.5 | 4.2 | 1.35 | 2.69 | 1.14 | 1.02 |
| | | 12 სექტემბერი | | | | | | |
| 17.00 | 371 | სილკებორგი-ოდენსე | 2.4 | 3.3 | 2.5 | 1.38 | 1.22 | 1.42 |
| 17.00 | 372 | ორჰუსი-ვიბორგი | 1.8 | 3.3 | 3.8 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 17.00 | 373 | ნორდსიელანდი-ესბიერგი | 3.4 | 3.2 | 2.0 | 1.64 | 1.25 | 1.23 |
| 17.00 | 374 | ჰერფოლგე-მიდტიულანდი | 3.4 | 3.2 | 2.0 | 1.64 | 1.25 | 1.23 |
| 19:30 | 375 | ოლბორგი-ბრიონდბი | 3,0 | 3.2 | 2.2 | 1.54 | 1.26 | 1.3 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა. XIX ტური | | | | | | |
| | | 11 სექტემბერი | | | | | | |
| 18.00 | 386 | იორგრიტე-ჰამარბი | 2.35 | 3.2 | 2.7 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| | | 12 სექტემბერი | | | | | | |
| 19.00 | 387 | ელფსბორგი-ლანდსკრონა | 1.8 | 3.3 | 3.8 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 19.00 | 388 | სუნდსვალი-იორებრო | 2.0 | 3.2 | 3.4 | 1.23 | 1,25 | 1.64 |
| | | 13 სექტემბერი | | | | | | |
| 21.00 | 389 | კალმარი-ორგრიტე | 2.0 | 3.2 | 3,4 | 1.23 | 1.25 | 1,64 |
| 21.00 | 390 | ჰელსინგბორგი-ტრელებორგი | 1,4 | 4,0 | 7.0 | 1.03 | 1,16 | 2.54 |
| 21.00 | 391 | გოტებორგი-აიკ | 1.65 | 3.4 | 4.8 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| | | ნორვეგია. ტიპელიგა. XX ტური | | | | | | |
| | | 11 სექტემბერი | | | | | | |
| 21.00 | 402 | როზენბორგი-ვოლერენგა | 1,5 | 3,5 | 6.5 | 1.04 | 1,21 | 2.27 |
| | | 12 სექტემბერი | | | | | | |
| 20.00 | 403 | ვაიკინგი-სოგნდალი | 1,75 | 3.3 | 4,2 | 1,14 | 1.23 | 1.84 |
| 20.00 | 404 | ფრედრიკსტადი-ჰამარი | 2.5 | 3,1 | 2.5 | 1,38 | 1.25 | 1.38 |
| 20.00 | 405 | ლინი-ბოდო გლიმტი | 2.05 | 3.3 | 3.2 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| 20.00 | 406 | მოლდე-ტრომსო | 2.5 | 3.2 | 2.45 | 1.4 | 1.23 | 1.38 |
| 22.15 | 407 | ლილესტრომი-ოდ გრენლანდი | 1.7 | 3.3 | 4.6 | 1.12 | 1.24 | 1.92 |
| | | 13 სექტემბერი | | | | | | |
| 21.00 | 408 | ბრანი-სტაბეკი | 1.7 | 3.4 | 4.4 | 1.13 | 1.22 | 1.91 |
| | | ნორვეგია. I დივიზიონი. XXII ტური | | | | | | |
| | | 12 სექტემბერი | | | | | | |
| 18.00 | 410 | ალესუნდი-რაუფოსი | 1,35 | 4.6 | 6.0 | 1.04 | 1.1 | 2.6 |
| 18.00 | 411 | ჰაუგესუნდი-ტრომსდალენი | 1,35 | 4.4 | 6.5 | 1.03 | 1.11 | 2.62 |
| 18.00 | 412 | ჰონეფოსი-სანდეფიორდი | 2.5 | 3.8 | 2.15 | 1.5 | 1.15 | 1.37 |
| 18.00 | 413 | კრისტიანსუნი-ვარდ ჰაუგესუნდი | 1,35 | 4.6 | 6.0 | 1.04 | 1.1 | 2.6 |
| 18.00 | 414 | მოსი-პორს გრენლანდი | 1,65 | 4.0 | 3.8 | 1.16 | 1.15 | 1.94 |
| 18.00 | 415 | სკეიდი-ჰოდდი | 2.0 | 3.8 | 2.8 | 1.31 | 1.16 | 1.61 |
| 18.00 | 416 | სტარტი-ბრინი | 1,45 | 4.0 | 5.6 | 1,06 | 1.15 | 2.33 |
| 18.00 | 417 | სტრომსგოდსეტი-მანდალი | 2.0 | 3.8 | 2.8 | 1.31 | 1.16 | 1.61 |
| | | ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XXIII ტური | | | | | | |
| | | 9 სექტემბერი | | | | | | |
| 19.00 | 419 | ჯაზი-როვანიემი | 2,05 | 3.2 | 3,2 | 1.24 | 1.24 | 1.6 |
| 19.30 | 420 | ჰაამკენლინა-ალიანსი | 4,2 | 3.4 | 1.7 | 1.87 | 1.21 | 1.13 |
| 19.30 | 421 | იარო-ტურკუ | 2.5 | 3.2 | 2.4 | 1.4 | 1.22 | 1.37 |
| 19.30 | 422 | მიუპა-ინტერი | 1,9 | 3.2 | 3.5 | 1.19 | 1.23 | 1,67 |
| | | 10 სექტემბერი | | | | | | |
| 20.00 | 423 | ჰაკა-ჰიკ | 1.65 | 3.3 | 4.8 | 1.1 | 1.22 | 1.95 |
| | | თურქეთი. სუპერლიგა. V ტური | | | | | | |
| | | 11 სექტემბერი | | | | | | |
| 17.00 | 439 | სებათი-ფენერბაჩე | 6.5 | 4.0 | 1,4 | 2.47 | 1.15 | 1.03 |
| 20.00 | 440 | დენიზლი-ტრაბზონი | 2,6 | 3.3 | 2.3 | 1.45 | 1.22 | 1.35 |
| 20.00 | 441 | გენჩლერბირლიგი-დიარბაქირი | 1.7 | 3.4 | 4.2 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| 20.00 | 442 | გაზიანთეფი-ანკარა | 1.6 | 3,4 | 5.0 | 1.08 | 1.21 | 2.02 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა





# სიხარული მეოთხე



# რამაზ ნოზაძე

ATHENS 2004

ათენის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ჩვენი სპორტსმენების შანსებზე რომ ვმსჯელობდით და მომავალი მედალოსნების გამოცნობას ვლამობდით, უკლებლივ ყველანი რამაზ ნოზაძის პრიზიორობას ვვარაუდობდით. ამ აზრისანი იყვნენ თავად მოჭიდავეებიც და მათი მწვრთნელებიც.

მართლაც, ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავე რამაზ ნოზაძე (96 კგ), რომელიც წლინახევრის წინათ ჯერ კიდევ ახალგაზრდულ ტურნირებში გამოდიოდა, არც მაშინ და არც მას მერე მსოფლიოს და ევროპის პირველობებიდან და თუ სხვა საერთაშორისო შეჯიბრებებიდან უმედლოდ არ დაბრუნებულა. ნოზაძე ხელცარიელი არც ათენიდან ჩამოვიდა. მან ოლიმპიური საპატიო კვარცხლბეკისკენ მიმავალ გზაზე სძლია გერმანელ მირკო ენგლიჩს, მერე გაუკრაინებულ დავით სალდაძეს, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს, რუსთა სახელით მოჭიდავე გიორგი კოლუაშვილს და ირანელ მასუდ ჰაშემზადეს. ფინალში კი ეგვიპტელ ქარამ იბრაჰიმს გადაეყარა. მასთან ბრძოლა თითქოს იმედიანად დაიწყო, მაგრამ მაინც ვერას გახდა — იბრაჰიმი მეტად კერკეტი კაკალი გამოდგა.

„მიხარია, რომ ათენის ოლიმპიურ თამაშებზე სამეულში მოვხვდი. ვერცხლის მედალი ცუდი არ არის. რა თქმა უნდა, პირველი ადგილი უკეთესი იქნებოდა, მაგრამ დღეს ჩემი დღე არ იყო" — ასე დაიმშვიდა თავი რამაზ ნოზაძემ და ჩვენც დაგვამშვიდა, მაგრამ ვინ თქვა, რომ ოლიმპიური ვერცხლი ცუდია?!

სამწუხარო ის იყო, რომ რამაზ ნოზაძის ვერცხლის მედალი ჩვენთვის ბოლო, მეოთხე სიხარული აღმოჩნდა. იმედი დავიტოვოთ, უფრო დიდი სიხარული და რამაზს ოლიმპიური თუ არაოლიმპიური ოქროები წინ აქვს.

**ავთანდილ გურასაშვილი**

**ავტორის ფოტოები**









ეროვნული ბიბლიოთეკა

# არაჩვეულებრივი გამოფენა

## ახალი ქართველის ახალი ამბიცია: ოლიმპიადა

**გუშინ** კაფე „მსოფლიო სპორტი" საკალათბურთოდ ხმაურობდა. იქ იყო საქართველოს ნაკრები თავისი ავანჩავანით, ქართული სპორტის ხელმძღვანელობა, ოლიმპიური ჩემპიონი გიორგი ასანიძე და მგონი, ყველა ის საინფორმაციო საშუალება, რომელიც დღეს სპორტს აშუქებს. მოკლედ, „მსოფლიო სპორტში" დიდი სტუმრიანობა და ფაცაფუცი იყო და ეს ყველაფერი ძალიან ლამაზი, ხალისიანი და თან ეროვნული გამოვიდა...

საქართველოს ნაკრების სამზარეულო ასე ორგანიზებული არასდროს ყოფილა. ჩვენი ეროვნული გუნდი გამოსასვლელი ფორმით შემოსეს, რაც აქამდე არ გვინახავს. ღაჟღაჟა წითელმაისურიანი „ხუთჯვაროსნები" დათქმულ ადგილას უცხო ფირმა „სეტრას" ავტობუსით მოვიდნენ, კაფეში ორგანიზებულად შემოვიდნენ და საპრესკონფერენციო მაგიდასთან ახლოს სახელდახელოდ მათთვის ჩამწკრივებული სკამები შეავსეს.

კაპიტანი არ ჩანდა — ზაზა ფაჩულია გაციებული ყოფილა და ზედმეტი გართულების თავიდან ასაცილებლად ექიმებმა ის სასტუმროში დატოვეს. ლამაზი შესახედი იყო ერთნაირ მაისურებში გამოწყობილი ეროვნული გუნდი, რომელშიც შავი ავგაროზივით ჩანდა ამერიკელი შემონდ უილიამსი, თითქოს ავი თვალისგან იცავს ნაკრებსო. თვალისგან არა, მაგრამ მტრისგან დასაცავად კი მოიწვიეს ქართული კალათბურთის მამებმა უილიამსი შორეული ამერიკიდან და სწორედ გუშინდელ პრესკონფერენციაზე, უფრო სწორად, ლონისძიებაზე დაუსვეს წერტილი მის „გაქართველებას".

სანამ უილიამსს ქართული პასპორტს გადასცემდნენ, კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა მერაბ რატიშვილმა პრესკონფერენცია გახსნა და სტუმრების წარდგენის შემდეგ დრაჟენ ბრაიკოვიჩის რჩეული თორმეტეული დაასახელა.



აი, ჩემი პასპორტი

მოთამაშეები იქ იყვნენ და უკვე ყველამ იცოდა საბოლოო შემადგენლობა, მაგრამ სულ სხვა ლაზათი ჰქონდა შემადგენლობის ხმამაღლა გამოცხადებას. მერაბ რატიშვილი ნომრების მიხედვით აცხადებდა საფინეთო შემადგენლობას, დამსწრენი კი მოთამაშეთა მიმართ პატივისცემას ტაშით გამოხატავდნენ.

შემდეგ გენ-მდივანმა ერთგვარი სიამაყით გამოაცხადა, რომ ნაკრების ტექნიკური სპონსორია ქართული ფირმა „სარო" და იქით გაგვაზედა, სადაც ამ ფირმის მიერ ნაკრებისთვის შეკერილი რვა ნაირსახეობის ფორმა იყო გამოფენილი — სავარჯიშო, გამოსასვლელი, სათამაშო ფორმები.

შემდეგ მოეწყო ყველაზე სახალისო და ქართველი ქომაგისთვის მნიშვნელოვანი სცენა — ნაკრებისთვის ყბადაღებული გამთამაშებლის პრობლემის მოსაგვარებლად ნბა-დან ჩამოყვანილ შემონდ უილიამსს საქართველოს პასპორტი გადასცა სპორტისა და კულტურის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა. მინისტრმა იმედი გამოთქვა, რომ სახელმწიფოსგან დაშვებული ეს გამონაკლისი ქართული კალათბურთის აღორძინების საფუძველი გახდება და ეს შემადგენლობა შემონდ უილიამსის მეთაურობით დიდ გამარჯვებებს მიაღწევს.

უილიამსმა სიხარულით ჩამოართვა პასპორტი მინისტრს, გულისყურით გადაფურცლა და ჯერ ფოტოობიექტივების წინ გამოიშვირა, შემდეგ კი თანაგუნდელებისკენ მიბრუნდა და თავისი ფოტო აჩვენა, აგერ, მეც თქვენნაირი გავხდიო.

დამსწრეთ სიხარულის კვალი სახიდან არ გაჰქრობოდათ, რომ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილმა უილიამსს ათნომრიანი თეთრწითელი მაისურა ტაშის გრიალში გადასცა, დიდ გამარჯვებებში გაგეცვითოსო.

ფედერაციას საგანგებოდ ჰყავდა მოწვეული ოლიმპიური ჩემპიონი გიორგი ასანიძე, რომელმაც ნაკრებს წარმატება უსურვა და საპრესკონფერენციო მაგიდაზე ასევე საჩხერელ ნიკა ცქიტიშვილთან მოკალათდა. როგორც აღმოჩნდა, ცქიტიშვილს და ასანიძეს მხოლოდ საჩხერული ფესვები კი არ აერთიანებთ, „ცქიტოს" დეიდაშვილი გიორგის კლასელი ყოფილა და მათაც სალაპარაკოს რა გამოულევდათ.

პრესასთან სამასლაათოდ გამზადებული ბრაიკოვიჩი ასეთი კითხვებით „დაბომბეს": რა ხუთეულს დააყენებთ? რამდენქულიანი გამარჯვება დაგაკმაყოფილებთ? სტეფანიას თუ ელით? ყველაზე სუსტი რგოლი რომელია?

„უილიამსი, მარკოიშვილი, ცქიტიშვილი, დიდი ბოისა, ფაჩულია — საფინეთოდ ამ ხუთეულს ვენდობი. მერე ვნახოთ... ნებისმიერი გამარჯვება დაგვაკმაყოფილებს, თუნდაც ერთქულიანი.... სტეფანიასთან დაკავშირებით უფრო კომპეტენტურ პასუხს ფედერაციაში გაგცემენ, ისე კი, ხედავთ, რომ იგი აქ არაა... მე არც ერთ რგოლს არ ვუჩივი, ყველა ძლიერია და გამორჩევაც არ მინდა."

შემონდ უილიამსმა კი ერთხელაც გამოხატა თავისი ამბიცია: „ახლა უნდა მივყვეთ, ყველა მატჩი მოვიგოთ და 2008 წლის ოლიმპიადაზე გავიდეთ. იქ კი, ისეთი დიდი გამარჯვება უნდა მოვიპოვოთ, როგორც ამ კაცმა (ხელი გიორგი ასანიძისკენ გაიშვირა). საკმაოდ ძლიერი გუნდი გვყავს და ყველა მეტოქე სიფრთხილით მოგვეკიდება."

ეს თქვა უილიამსმა და ხალხში გაერია — პრესკონფერენცია დასრულდა და ნაკრების წევრები ჟურნალისტებმა დაიტაცეს. სამახსოვრო ფოტოები, ხვევნა-კოცნა, სიცილ-ხარხარი და მოახლოებული გამარჯვებების სურნელი ერთმანეთში ირეოდა...

**ირაკლი პერტაია**

### საქართველოს ნაკრები

4 ლაშა გამყრელიძე
5 ვლადიმერ ბოისა
6 ანატოლი ბოისა
7 ზაზა ფაჩულია (კაპიტანი)
8 გიორგი ცინცაძე
9 კოტე ტულუში
10 შემონდ უილიამსი
11 მანუჩარ მარკოიშვილი
12 დავით ბერძენიშვილი
13 შიო ხეცურიანი
14 ვალერი კილაძე
15 ნიკოლოზ ცქიტიშვილი

მთავარი მწვრთნელი:
დრაჟენ ბრაიკოვიჩი

### სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

შაბათს, 11 სექტემბერს, 12:00 საათზე საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში (ჭავჭავაძის 49ა) გაიმართება ევროპის კალათბურთის ფედერაციის (ფიბა-ევროპა) აღმასრულებელი დირექტორის ნარ ზანოლინის პრესკონფერენცია

*საქართველოს კალათბურთის ფედერაცია*



# არას გარგებს უკან დგომა

## სპეადრა აძურა ცუდი მაგალითია

*კონსტანტინე კუპატაძე ათენში საჩემპიონოდ იქავებდა მუშტებს და პირველ წრეში დასვენებული მერვედფინალურ ჯახში ფავორიტის რანგში წარუდგა ახმახ ჩრდილოკორეელ ჩუნგ სონგ კიმს. კომუნისტი კორეელი მართლა ყოჩაღი ჯეელი ყოფილა, სულაც ფინალს უწია და ვერცხლს დაეპატრონა, ხოლო კუპატაძეს მხოლოდ 8-წუთიანი მუშტი-კრივი შემოუნახა მოგონებად*

— ასე ჯერ არც ერთი წაგება არ მწყენია. ამ ამბავში ერთმა უსიამოვნო კურიოზმაც შემაცდინა — კონსტანტინე ჩვენთან საუბარს სწორედ ამ კურიოზით იწყებს— პირველი სამი რაუნდი ისე მიილია, მეგონა, 5-6 ქულას ვიგებდი. ტაბლო არ მუშაობდა და ანგარიშს ვერ ვგებულობდი და მხოლოდ მეოთხე რაუნდის წინ შევიტყვე, რომ გვარიანად ვაგებდი. ელდა მეცა, შეტევაზე გადავედი, მაგრამ ამხელა ჩამორჩენა ველარ გავაბათილე.

— შენმა მწვრთნელმა მაინც არ იცოდა ანგარიში?

— არა, ტაბლო რინგის ქვემოთ იყო დამონტაჟებული და გულშემატკივრები ხედავდნენ. ისინი თურმე გვიყვიროდნენ, მაგრამ არაფერი არ გვესმოდა. დარწმუნებული ვარ, არც კორეელმა იცოდა ანგარიში, თორემ მესამე-მეოთხე რაუნდებში ამდენს არ იაქტიურებდა. სულ გამწარებული დამდევდა.

— შენ შემტევი სტილის მოკრივე ხარ და მით უმეტეს, გრძელხელებიან მეტოქესთან ახლო ბრძოლას რატომ გაურბოდი?

— იტალია რომ გოლს გაიტანს და მთელი გუნდით დაცვაში დგება, მეც ისე მომივიდა. არადა, ასეთი მანერით ცხოვრებაში არ მიბრძოლია, ისევ და ისევ ანგარიშის შენარჩუნების მიზნით ვიხევდი უკან, თორემ მე ერთადერთი სტილი მაქვს — შეტევა და ახლო ბრძოლაში შესვლა.

— მხოლოდ ანგარიშმა მოგატყუა, თუ რაღაც დააკელი?

— კარგ განწყობაზე ვიყავი, წინასწარ ცხოვრებაში არ წამიგია. რაღაც მართლა დავაკელი, შეცდომებზე ვსწავლობ. ნებისმიერი ბრძოლის შემდეგ ჩემს თავს ვეკითხები, რა გავაფუჭე, რა მინუსებზე მქონდა... ერთი ვიცი, პეკინში უფრო გამოცდილი ვიქნები. აქვე გეტყვით, რომ წონას ვიცვლი — 60 კილოგრამში ავინაცვლებ.

— ჩუნ სონგ კიმს ათენამდე თუ შეხვედროდი?

— არა, ნანახიც არ მყავდა. თავიდან სამხრეთკორეელი მეგონა, შემდეგ მითხრეს, რომ წლეულს აზიის თასი მოუგია და საკმაოდ ძლიერი ტაილანდელი ჰაჯინდი დაუმარცხებელია. ისე, ძალიან მიუდგომელი იყო, ჩემს წონაში ამ სიმაღლის მოკრივე არც მინახავს.

— მეორე წრეში უბრძოლველად რომ გახვედი, ამან კონცენტრაცია ხომ არ დაგიკარგა?

— ჰო, ნაღდად მერჩივნა, მანამდე მეჩხუბა. წარმოიდგინეთ, ათენში 11 დღე წონას ვინარჩუნებდი, რაც გარკვეულ წნეხში გაქცევს. კორეელამდე ერთი ბრძოლა რომ გამემართა, რინგს, ხალხის ყიჟინას შევეჩვეოდი...

— ამდენი ხანია, ვსაუბრობთ და მსაჯი არ მიხსენებია. მისგან დაჩაგვრა არ გიგრძვნია?

— წეღანაც ვთქვი, სულ იმის ფიქრში ვარ, რა გავაფუჭე-მეთქი. არ მინდა, წაგება სხვას გადავაბრალო, მაგრამ ქულებში ამხელა სხვაობამ გამაკვირვა. კორეელი ხელებს მიჭერდა და ამისთვის ხუთი შენიშვნა მიიღო. მე რომ ეს ორჯერ მაინც გამეკეთებინა, ალბათ გაფრთხილებას მომცემდნენ. შემდეგ მითხრეს, ხელთათმანზე დარტყმისასაც ქულებს აძლევდნენ კორეელსო.

— ათენში სხვა ქართველებს გამოსვლებს ესწრებოდი?

— შეძლებისდაგვარად. ზურაბ ზვიადაური და გია ასანიძე ჩემპიონები რომ გახდნენ, იმხელა ვიყვირე, ხმა ჩამეხლიჩა. საქართველომ ოლიმპიადაზე მართლა დაამტკიცა, რომ სპორტული ქვეყანაა, თუმც ბოლო დღეები ამდენი რეალური მედლის დაკარგვამ ძალიან დამწყვიტა გული.



— ნიკა იზორიას დარბაზიდან გულშემატკივრობდი...

— გახსენებაც არ მინდა. რაც ნიკას გაუკეთეს, ამაზე კომენტარის გაკეთებაც არ შეიძლება.

— ძალიან გულდაწყვეტილი ჩანხარ. არადა, წინ კიდევ გელის ოლიმპიადები...

— სიმართლე გითხრათ, ათენური მარცხი არ მასვენებს. გასულ შაბათს მეგობრის ქორწილში მეჯვარე ვიყავი, მაგრამ ჩემს გემოზე მაინც ვერ ვიმხიარულე. ყველა მამჩნევდა ნაღვლიანობას, მართობდნენ და რამდენიმე ჭიქა ღვინოს გული გადავაყოლე.

**ილია ნანობაშვილი**

US OPEN 2004 ნიუ იორკი. ჰარდი. საპრიზო 19 050 000 $

# თვალი გაახილეთ, ქალბატონო

## მსაჯმა სერენა უსლემტიტულოდ დატოვა





REUTERS ნიუ იორკიდან

მსაჯის შეცდომის შედეგი: გაცოფებული სერენა უილიამსი და გახარებული ჯენიფერ კაპრიატი

7 სექტემბერი

**კაცები**

მეოთხე წრე

**ენდი როდიკი** (2, აშშ) — ტომი რობრედო (18, ესპანეთი) 6:3, 6:2, 6:4; **ლეიტონ ჰიუიტი** (4, ავსტრალია) — კაროლ ბეკი (სლოვაკეთი) 6:4, 6:2, 6:2; **იოახიმ იოჰანსონი** (28, შვედეთი) — მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) 6:2, 6:3, 6:2; **ტომი ჰაასი** (გერმანია) — ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) 7:6 (8:6), 6:1, 7:5

**ქალები**

მეოთხედფინალი

**ელენა დემენტიევა** (6, რუსეთი) — ამელი მორესმო (2, საფრანგეთი) 4:6, 6:4, 7:6 (7:1); **ჯენიფერ კაპრიატი** (8, აშშ) — სერენა უილიამსი (3, აშშ) 2:6, 6:4, 6:4

ბევრი რომ არ შევაშესავლოთ, დღის გმირად პორტუგალიელი მსაჯი მარიანა ალვეში იქცა. ამ ბანოვანმა იმ დღეს ერთი საბედისწერო შეცდომა დაუშვა, რის გამოც მძაფრი გინებაც დაიმსახურა, ტურფათა პირველობის ბედიც გადაწყვიტა და საბოლოოდ წლის ბოლომდე უქმობაც გაიჩალიჩა.

უფრო თანმიმდევრულად რომ მოვყვეთ, ყველაფერი ასე იყო:

სერენა უილიამსისა და ჯენიფერ კაპრიატის მძაფრი შეხლის გადამწყვეტ სეტში პირველი მოწოდება უმცროსი უილიამსდისა იყო. სერენამ გეიმი მაინცდამაინც დამაჯერებლად ვერ წაიყვანა, მაგრამ არც წასაგებად უჩანდა პირი. თანაბრობაზე მან ეშხიანი ხელუკუღმით ბურთი კაპრიატის წილი კორტის გვერდით ხაზზე დააბინავა, თუმცა ხსენებულმა მარიანა ალვეშმა ეს ვერ დაინახა და ქულა ჯენიფერს ჩაუთვალა. ამას სერენას განრისხება და ასევე ხსენებული გინება მოჰყვა. გინებამ ვერ გაჭრა და მამარიჩის უმცროსი გოგონას მორიგ მოწოდებაზე კაპრიატიმ უკვე უპრობლემოდ იხეირა — 0:1.

და მართალია, სერენამ მომდევნო გეიმის უკუგება შეძლო, მაგრამ ამის შემდეგ მაინც ისე დემორალიზებულად გამოიყურებოდა, მისი წაფორხილება მხოლოდ დროის ამბავი გახლდათ. როცა ეს დრო დადგა, ჯენიფერარის ჩოგანი არ აკანკალებია. და ამის შედეგად მივიღეთ ისეთი უცნაური ვითარება, რომ ამქრის ბაბაჭუა სერენამ წელი რაგინდარა სლემტიტულის გარეშე გაასრულა...

რაც შეეხება დონია ალვეშს, მისი შეცდომა იმდენად აშკარა და დაუჯერებელი იყო, რომ მსაჯთა საფიხვნომ მას წლის ბოლომდე ამქარში გარევა აუკრძალა.

ჰო, მართლა — გოგონებმა იმ დღეს ერთმანეთში მეჩვიდმეტედ იპაექრეს და ამ გამარჯვების შემდეგ 28 წლის დრანცულა ჯენი თავისზე ხუთი წლით უმცროს სერენასთან 7:10-ლა აგებს.

სხვაგრაფ [illegible] ქალთა იმ დღის გამართულ მეორე მეოთხედფინალში რუსი [illegible] ელენა დემენტიევა თავის დაჭიმულ ბარძაყსაც მოერია, აშლილ კუჭსაც გაუძლო, უხარისხო მოწოდებასაც გაუმკლავდა და მარადიულად წარუმატებელი ამელი მორესმოც სავსებით დამსახურებულად გააიმასქნა.

არადა, ასეთ მენტალურ სიმყარეს სანდომიანი რუსგოგოსგან არავინ ელოდა, რაკილა აქამდე ის სწორედ გადამწყვეტ მომენტებში იფლავებდა ხოლმე. მაგალითისთვის თუნდაც მის მიერ როლანგაროსობის ფინალში თვისტომ ტასია მისკინთან ბითურად დათმობილი თამაში ივარგებდა.

ამელი მორესმო კი ამ მარცხის მიუხედავადაც ინარჩუნებს ამქარში გაპირველების შანსებს — ოღონდ ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუკი ლინდსი დევენპორტი ტიტულების მოგებას ვერ შეძლებს. თუმცა ლონიერი ფრანგოგო პირველოსნობას არად დაგიდევთ, თუკი ამის საფუძვლად ერთი სლემტიტული მაინც არ იქნება. იმედია, ამის გაკეთებას უახლოეს მომავალში მაინც შევძლებო, ძალზედ გულდაწყვეტილად ამბობდა ის იმ დღეს.

კაცთა მხარეზე კი შარშანდელი ჩემპიონი ენდი როდიკი და მასზე ორი წლით ადრე გაჩემპიონებული ლეიტონ ჰიუიტი კვლავ წყვილად განაგრძობენ ბრწყინვალე სვლას ერთმანეთში გასარკვევი ნახევარფინალისკენ.

ენდიბოიმ 36 საქულე დარტყმა მოაქუჩა ესპანელი რობრედოს წინაალმდეგ და თავის საამტურნირო ეისთა რაოდენობა 76-მდე აიყვანა. მას შანსი აქვს, გახდეს პირველი კაცი ავსტრალიელი პატრიკ რაფტერის შემდეგ, ვინაც ფლეშინგმედოუზზე ზედიზედ ორჯერ გაჩემპიონება მოახერხა.

მეოთხედფინალში როდიკი ოყრაყ შვედ იოახიმ იოჰანსონს გადაეყრება, ჰიუიტის საამტურნირო პრეტენზიათა სერიოზულობას კი საოცრად მოყინჩებული ტომი ჰაასი გამოცდის. ჰაასს მთელი შარშანდელი წელი მხრის ტრავმის გამო გაუცდა, თუმცა დიდ კორტზე მობრუნებულმა წლეულს უკვე ორი ტიტული მოიხვეჭა და კისკასი ოზბიჭისთვისაც უფიცხლესი ბრძოლის გამართვას აპირებს.

**ლევან ქეულაურაძე**

ბორჯომის თასი. თიხნარი. საპრიზო 10 000 $

# ბასტა ბასტრიკოვა

## რუსებს კიდევ ვნახავთ

პირველი წრე

**მარია კონდრატიევა** (1, რუსეთი) — ნატალია ბოგდანოვა (უკრაინა) 6:3, 6:3; **ვარვარა გალანინა** (რუსეთი) — ნადეჟდა სამოილო (რუსეთი) 6:1, 6:2; **სოფო შაფათავა** (საქართველო) — სოფია ავაქოვა (რუსეთი) — 5:7, 6:2, 6:0; **ნატალია რახმანინა** (რუსეთი) — თინათინ ყავლაშვილი (7, საქართველო) 6:2, 7:6 (7:1); **ევა ფერნანდესი** (8, ესპანეთი) — მანანა შაფაქიძე (საქართველო) 6:3; 6:2; **სალომე ჩაჩხუნაშვილი** (საქართველო) — ნინა მაკაროვა (საქართველო) 7:5, 6:3; **თათია მიქაძე** (საქართველო) — აქსანა კალაშნიკოვა (საქართველო) 6:3, 6:2; **ნატალია პერვიცკაია** (რუსეთი) — ანა ბასტრიკოვა (2, რუსეთი) 7:5, 3:6, 6:3

„ნუ ვსიო, ანნა, დამოი პარა" — გულმოკლულმა ჩაილაპარაკა გუშინ ანა ბასტრიკოვამ და ცრემლმორეულმა ჩოგანი დაამალითა. ბასტრიკოვა „ბორჯომის თასზე" მეორე ნომრად იყო განთესილი და თავისთავად ფავორიტადაც ჩაითვლებოდა, მაგრამ მოულოდნელად თავისზე დაბალრეიტინგიან და გაცილებით ნაკლები კორტის მნახველ ნატალია პერვიცკაიასგან იძლია. იგი პირველი ხუთეულიდან ტურნირს სხვებზე ადრე გამოემშვიდობა.

ამ შეხვედრის პარალელურად მეზობელ კორტზე პირველი ნომერი, რუსი მარია კონდრატიევა ღვრიდა ოფლს, მაგრამ მეტი ინტერესი მაინც ბასტრიკოვა — პერვიცკაიას ჩოგნაობამ დაიმსახურა. თუნდაც იმიტომ, რომ ამ წყვილში გამარჯვებული მეორე წრეში თათია მიქაძეზე გადიოდა, და მეორეც — რაოდენ უხერხული სათქმელიც უნდა იყოს, მათი ცქერა თვალისთვისაც საამო იყო. ბრძოლაც თქვენი მოწონებული გაჩაღდა. გრძელფეხება და პირმშვენიერმა პერვიცკაიამ სამ სეტში იმარჯვა.

კონდრატიევამ კი მთლად იოლად ვერა, მაგრამ მაინც დამაჯერებლად აჯობა მოწინააღმდეგეს და დღეს მასზე სუსტ თანამემამულე ვარვარა გალანინას დაუპირისპირდება.

ქართველთა შვიდეულიდან მეორე წრეს მხოლოდ სამმა უწია. თათია მიქაძემ და სალომე ჩაჩხუნაშვილმა ჩვენებურებს აქსანა კალაშნიკოვასა და ნინა მაკაროვას აჯობეს. სხვა ჩვენებურთაგან კი განსაკუთრებით მოულოდნელი თინათინ ყავლაშვილის მარცხი აღმოჩნდა. თინათინმა ძირითად ბადეში საკვალიფიკაციოდან შესულ ნატალია რახმანინას ვერ სძლია. ვერ ვიტყვით, რომ ჩვენებურის მარცხი რუსის კარგმა თამაშმა განაპირობა, მთავარი მიზეზი ყავლაშვილის ნერვიულობა და ამით გამოწვეული უამრავი უხეში შეცდომა უფრო იყო.

მანანა შაფაქიძე „ბორჯომის თასის" ყველაზე შორეულმა სტუმარმა, ესპანელმა ევა ფერნანდესმა დაგვიმარცხა საკმაოდ დამაჯერებელი ანგარიშით 6:3, 6:2.

თავისზე გამოცდილ და თბილისის ტურნირისთვის ნაცნობ სახეს, რუს სოფია ავაქოვას შეხვდა ძირითად ბადეში „ველური ბარათით" მოხვედრილი 15 წლის სოფო შაფათავა და მშვენიერი თამაშიც აჩვენა. პირველი წაგებული სეტის შემდეგ რუსს წარმატების მისხალი შანსიც არ დაუტოვა და მეორე-მესამე სეტებში ოდენ ორი გეიმი დაუთმო.

ტურნირს შერჩენილი ექვსი ქართველიდან მეორე წრეში სამი რუსებს დაუპირისპირდება. სოფო მელიქიშვილი უროტაძის მჯობნ სვეტლანა მოსიაკოვას, ია ჯიქია სოფო ქვაცაბაიას მძლეველ ვასილისა დავიდოვას, ხოლო სოფო შაფათავა ყავლაშვილის მომგებ ნატალია რახმანინას შეხვდება. თათია მიქაძის მეტოქე ნატალია პერვიცკაია გახლავთ, ხოლო ერთი წყვილი ქართულია — მაკა ჩახნაშვილი და სალომე ჩაჩხუნაშვილი ერთმანეთში გაარკვევენ საუკეთესოს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

## წყალბურთი

*დღეს საქართველოს ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრები მალტას მიემგზავრება, სადაც ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშებს. ჩემპიონატი 12 სექტემბერს დაიწყება*

# იფრინეთ, წყალბურთელებო

## ჭაბუკები მალტაზე გაემგზავრნენ

გუშინ ამასთან დაკავშირებით თბილისის მერიის სპორტისა და კულტურის სამსახურში, რომლის დახმარებითაც საქართველოს ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრები ამ შეჯიბრებისთვის მოემზადა და მალტაში გაემგზავრა, პრესკონფერენცია გაიმართა.

გეხსომებათ, ჩვენ ჯგუფში მოხვდნენ სლოვაკეთის, საფრანგეთის და სერბეთის ნაკრებები. მათგან ჯგუფის ფავორიტი სერბეთია, რომელიც ამავე დროს ევროპის ჩემპიონობის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტი და წინა პირველობის გამარჯვებული გახლავთ.

სერბეთი ალბათ იოლად გაივლის ჯგუფურ ეტაპს. მის გარდა ჯგუფიდან კიდევ ერთი გუნდი გავა, საქართველოს ნაკრების ამოცანაც სწორედ ესაა, რისთვისაც ჩვენებურებმა სლოვაკებსა და ფრანგებს უნდა სძლიონ. საბოლოოდ საქართველოს ნაკრები ათეულში უნდა დამკვიდრდეს. თუ ამ მიზანს მიაღწევენ, როგორც თბილისის მერიის კულტურისა და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელობამ თქვა, წყალბურთელების მონდომებას იქვე სიურპრიზებით დააჯილდოვებენ.

ჩვენი გუნდის მთავარი მწვრთნელი სოსო მაისურაძე წუხს, რომ ამ ზამთარს რუსეთის პირველობაში გამარჯვების მერე საქართველოს 19 წლამდე ჭაბუკთა ნაკრების წევრთა სრული შეკრება და საერთო ძალით ტურნირებში გამოსვლა არ მოხერხდა. საქმე ისაა, რომ ჩვენმა გუნდმა მალტის საგზური ჯერ გაზაფხულზე ყველა შეხვედრაში გამარჯვებით მოიპოვა, მერე ვარშავაში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე პოლონეთის პრეზიდენტის სახელობის თასი დაისაკუთრა და ბოლოს სტამბოლის ტურნირზე მესამე ადგილი მოიპოვა, მაგრამ შესანიშნავი ბურთაობის მიუხედავად, წყალბურთელთა ასაკის ლიმიტის გამო სრული საბრძოლო შემადგენლობით მაინც არ უთამაშია.

ჩვენს გუნდს სრული საბრძოლო შემადგენლობით სურდა ამ დღეებში უკრაინის „მარიუპოლისთვის“ ემასპინძლა, მაგრამ მისი ჩამოსვლა არ მოხერხდა. სამაგიეროდ ჭაბუკებს სპარინგპარტნიორობა გაუწიეს ჩვენმა ლეგიონერებმა, რომლებიც თბილისში არდადეგებზე იყვნენ.

ასეა თუ ისე, ჩვენი წყალბურთელების უმეტესობა მალტაში მეტოქეებს ასაკით ცოტათი კი ჩამორჩება, მაგრამ ისინი უბრძოლველად არაფრის დათმობას არ აპირებენ.

პრესკონფერენციაზე ისიც თქვეს, რომ სოსო მაისურაძის გუნდი მალტას მოსკოვის გავლით მიემგზავრება. რუსეთის დედაქალაქის სასტუმროს ნომრებში გუნდის ყველა წევრს სპორტული ფორმებით დაკომპლექტებული ჩანთები დახვდება.

მალტაში გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე წყალბურთელები ჩვენს მედალოსან ოლიმპიელებთან ერთად მიიღო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ და გზა დაულოცა მათ. ამასთან, გადასცა ხატი და ნაკურთხი წყალი, რათა ჩვენი ოლიმპიელების წყალი მათაც გადაესხათ.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

## ავტორბოლა

# შუმახერი შვიდზე გაჩერდა

FORMULA1 WORLD CHAMPIONSHIP

კვირას 55-ე საფორმულო სეზონის მორიგი რბოლაა — მილანის მახლობლად, მონცას ლეგენდარულ „აუტოდრომო ნაციონალეზე“ იტალიის დიდი პრიზი გათამაშდება.

მიხაელ შუმახერი თავისი „ფერარის“ მშობლიურ ტრეკზე უკვე მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის რანგში გაიჯირითებს. დიადმა გერმანელმა ტიტული წინა, ბელგიურ ეტაპზე გაინაღდა და, ცხადია, სურდა, ფანტასტიკური მიღწევა თავის საყვარელ „სპა-ფრანკორშამზე“ მორიგი გამარჯვებით „დაესველებინა“, თუმც ამჯერად მეორე ადგილს დასჯერდა, რაც ვადამდე გასაჩემპიონებლად კი ეყო, მაგრამ ამ „წარუმატებლობით“ მისი ზედიზედ შვიდმოგებიანი სერია შეწყდა.

„წითელმა ბარონმა“ ხელიდან გაუშვა იტალიელ ალბერტო ასკარის ნახევარსაუკუნოვანი რეკორდის დამხობის ჩინებული შანსი, რომლის მსგავსი შეიძლება აღარც განმეორდეს.

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ასკარიც თავის „ოქროს ხანაში“ ფერარით დაქროდა. სულ კი ხუთ სეზონში სამი გუნდი გამოიცვალა და 1955 წელს სწორედ „მონცაზე“ დაღუპვამდე 31 რბოლაში მოასწრო გამოსვლა (იმხანად სეზონში სულ შვიდი-რვა ეტაპი იყო).

დღემდე მიუწვდომელი, ზედიზედ ცხრამოგებიანი სერია ალბერტომ 1952 წლის 22 ივნისს ბელგიაში „გახსნა“ და ზუსტად ერთი წლის თავზე ბელგიაშივე დაასრულა. ბუნებრივია, ორივე პირველობაში ტიტულიც მას, დღემდე „ფერარის“ ერთადერთ იტალიელ ჩემპიონს დარჩა.

**გია ახალაძე**

### მოგება ზედიზედ

| მრბოლი | ქვეყანა | გუნდი | მოგება | წლები |
|---|---|---|---|---|
| ალბერტო ასკარი | იტალია | ფერარი | 9 | 1952-53 |
| მიხაელ შუმახერი | გერმანია | ფერარი | 7 | 2004 |
| მიხაელ შუმახერი | გერმანია | ფერარი | 6 | 2000-01 |
| ჯეკ ბრებემი | ავსტრალია | კუპერი | 5 | 1960 |
| ჯიმ კლარკი | დიდი ბრიტანეთი | ლოტუსი | 5 | 1965 |
| ნაიჯელ მენსელი | დიდი ბრიტანეთი | უილიამსი | 5 | 1992 |
| მიხაელ შუმახერი | გერმანია | ფერარი | 5 | 2004 |
| ხუან მანუელ ფანხიო | არგენტინა | მაზერატი, მერსედესი | 4 | 1953-54 |
| ჯიმ კლარკი | დიდი ბრიტანეთი | ლოტუსი | 4 | 1963 |
| ჯეკ ბრებემი | ავსტრალია | ბრებემი | 4 | 1966 |
| იოხენ რინდტი | ავსტრია | ლოტუსი | 4 | 1970 |
| აირტონ სენა | ბრაზილია | მაკლარენი | 4 | 1988 |
| აირტონ სენა | ბრაზილია | მაკლარენი | 4 | 1991 |
| ალენ პროსტი | საფრანგეთი | უილიამსი | 4 | 1993 |
| მიხაელ შუმახერი | გერმანია | ბენეტონი | 4 | 1994 |
| დეიმონ ჰილი | დიდი ბრიტანეთი | უილიამსი | 4 | 1995-96 |
| მიხაელ შუმახერი | გერმანია | ფერარი | 4 | 2000 |
| მიხაელ შუმახერი | გერმანია | ფერარი | 4 | 2002 |



ალბერტო ასკარის 51-წლიანი რეკორდი დღესაც დაუმხობელია

## ჰოკეი

მსოფლიოს თასი 2004 30 აგვისტო — 14 სექტემბერი

# ИДИТЕ ДОМОЙ!

## ამერიკამ რუსებს ამერიკა ანახა

7 სექტემბერი

**მეოთხედფინალი**

**შვედეთი 1:6 ჩეხეთი**

*0:2 0:1 1:3*

**0:1 სტრაკა (7), 0:2 ჰავლატი (14), 0:3 ჟილდიცკი (37), 0:4 დვორჟაკი (49), 0:5 ჰეიდუკი (55), 1:5 ჰოლმსტრიომი (57), 1:6 ჰეიდუკი (59)**

გვარიანად იეშმაკეს ჩეხებმა, ჯგუფურ ეტაპზე ძირითად მეტოქეებთან თავი მოიკატუნეს, ამით ძალები დაზოგეს, ტრავმებს აარიდეს თავი და სამშაბათს მეოთხედფინალში შვედებს ჰოკეის სანიმუშო გაკვეთილი ჩაუტარეს.

„ვიკინგებს“ ამგვარ აბუჩად აგდებას ვერავინ წარმოიდგენდა, რადგან წინა მატჩებში მათ ბრწყინვალედ ითამაშეს. თან ჩრდილოამერიკელი ექსპერტები ევროპულ ჯგუფში სწორედ „ტრე კრუნურს“ თვლიდნენ ყველაზე ანგარიშგასაწევ ძალად. ახლა ვითარება შეიცვალა და ყველა — პირველ რიგში ჩეხების სავარაუდო მეტოქე კანადა — ამ მატჩის ვიდეოჩანაწერს ჩაუჯდა...

მაინც რა მოხდა? უნიათო, გულგრილი ჩეხეთის ნაკრები რამ გარდაქმნა 4-5 დღეში? განსაკუთრებული არაფერი. როგორც მათი თავკაცი ვლადიმირ რუჟიჩკი ამბობს, ამ ტურნირზე გადამწყვეტი მეოთხე თამაში იყოო.

ეტყობა, მანამდე მოთელვა მიმდინარეობდა. დადგა მეოთხე მატჩის დრო და აღმოჩნდა, რომ ტრაგიკულად დაღუპული ივან ჰლინკას ნაცვლად გათავკაცებული რუჟიჩკა ბრწყინვალე სტრატეგი ყოფილა. ჩეხებს ახალი არაფერი გამოუგონიათ, უბრალოდ, დაცვა გაამაგრეს და ტრადიციულ კონტრშეტევებს მიმართეს, რომელიც მეტოქის შეცდომებზეა აგებული. თითქოს ბევრს არ სცოდავდნენ შვედები, მაგრამ სტუმრებმა ერთობ ეფექტურად გამოიყენეს შანსები. პირველ პერიოდშივე „ვიკინგების“ ორი შეცდომა ორ გოლად იქცა, როცა მარტინ სტრაკას და მარტინ ჰავლატს მეკარესთან პირისპირ გასვლის შანსი მიეცათ. წინ გასული ჩეხების დამარცხება პრაქტიკულად შეუძლებელია და ამაში შვედებიც კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ, როცა მეორე პერიოდში, მიუხედავად დიდი უპირატესობისა, ერთხელაც ვერ გაიტანეს.

ჩეხები კი გათამამდნენ და შექმნილ მომენტებს განსაკუთრებული პეწითა და ეშხით იყენებდნენ, თითქოს ამასხარავებდნენ მეტოქეს. განსაკუთრებით დამამცირებელი მეოთხე გოლი იყო. პეტერ ჩაიანეკმა ისეთი პაუზა გააკეთა, რომ მასთან მებრძოლი შვედი ყინულზე გასრიალდა და მხოლოდ ამის შემდეგ გადააწოდა შაიბა დვორჟაკს. თან ეს ყველაფერი უმცირესობაში მოახერხა. ამ გოლმა საბოლოოდ დააყრევინა ფარ-ხმალი მრისხანე შვედებს. მათ ისღა დარჩენოდათ, ჩხუბში ჩაეთრიათ მეტოქე, მაგრამ ეს ნაკლებად ეხერხებათ.

**რუსეთი 3:5 აშშ**

*0:1 1:1 2:3*

**0:1 ტკაჩუკი (12), 0:2 ტკაჩუკი (22), 1:2 აფანასენკოვი (28), 2:2 ზუბრუსი (41), 2:3 გომესი (45), 2:4 ტკაჩუკი (45), 3:4 კოვალჩუკი (52), 3:5 ტკაჩუკი (60)**

„ეგებ მართლაც ბებრები ვართ, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ასაკს ყველაფერთან ერთად გამოცდილებაც მოაქვს. სწორედ ამ გამოცდილებამ მოგვაგებინა დღევანდელი თამაში“ — თქვა ამერიკელმა კეიტ ტკაჩუკმა მატჩის შემდეგ. ამერიკელები მართლაც ყველაზე ხანდაზმულები არიან ამ ტურნირზე. მათი საშუალო ასაკი 31 წელზე მეტია და 4-5 წლით უფროსები არიან რუსებზე, მაგრამ... ისინი მაინც წინ მიიწევენ, რუსები კი უკვე დაემშვიდობნენ ტურნირს.

ბევრი მითქმა-მოთქმა იყო პირველ ეტაპზე ამ გუნდების შეხვედრამდე. ამბობდნენ, არიქა, გადაბერდნენ ამერიკელები, ველარ დასრიალებენ და რუსებმა სისწრაფის ხარჯზე აიგდეს აბუჩადო. სამშაბათს კი შურისძიების ჟამმა დაჰკრა — ბებრებმა ჯეელებს ჭკუა ასწავლეს.

ნიშანდობლივია, რომ ამერიკელთა მოგებაში ყველაზე დიდი წვლილი ხანდაზმულთა ტრიომ შეიტანა. გერინი-მოდანო-ტკაჩუკის სამეულმა ყველა გოლში დაიდო წილი. ამერიკელთა მე-7 ნომერს კეიტ ტკაჩუკს, დაავიწყდა კიდეც, როდის გაჰქონდა ამდენი გოლი, მაგრამ რუსებთან გადამწყვეტ თამაშში „პოკერი“ შეასრულა და თან სკოტ გომესსაც მიაწოდა პასი. განსაკუთრებით ლამაზი მისი პირველი და მესამე შაიბა გამოდგა. ეს ულამაზესი კომბინაციების ულამაზესი დაგვირგვინება გახლდათ. ყველაზე ძვირფასი კი მისი საგოლე პასი იყო. ამ მომენტისთვის რუსებმა ანგარიში გაათანაბრეს და თითქოს ინიციატივაც იგდეს ხელთ, მაგრამ ტკაჩუკმა მეტოქის ზონაში დიმიტრი კალინინს აართვა შაიბა, კარისკენ გასრიალდა და გომესსაც უზუსტესი პასი არ დაუგვიანა. 22 წამში ამერიკელებმა კიდევ ერთხელ დალაშქრეს რუსების კარი და ეს ისევ ტკაჩუკმა გააკეთა. აი, ასე მოკლე დროში მიაყენა აშშ-მ გადამწყვეტი დარტყმა რუსებს.

ისე, სლავებმაც ბოლომდე იბრძოლეს, ილია კოვალჩუკის გასროლის შემდეგ მინიმუმამდე შეამცირეს სხვაობა, მაგრამ მეკარის მეექვსე მოთამაშით შეცვლის შემდეგ კიდევ ერთი შაიბა მიიღეს ტკაჩუკისგან და ამით დასრულდა ყველაფერი.

ამრიგად, რუსებს მორიგი „GO HOME“ მოუვიდათ, აშშ კი 10 სექტემბერს ნახევარფინალში ფინეთს შეხვდება.

**სამველ ლარიბიანი**





REUTERS ნიუ იორკიდან

# იესპიენის საღამო

განთქმული ტელეკომპანია „იესპიენი“, რომლის ერთ-ერთ არხსაც ერთხანს ჩვენი მაყურებელიც გვარიანად იყო თვალშეჩვეული, 25 წლისა მოყრილა, ნიუ იორკში ერთი კარგი წითელი ხალიჩა დაუგია და განთქმული ადამიანებიც მოუყრია სალხინოდ და სადღეგრძელოდ. ლენოქს ლუისსა და ათენში რვა მედლის მომგებ მოცურავეს მაიკლ ფელპსს ბევრი იცნობს. ვგებ გაგვიჭირდეს ჯენი ფინჩის ამოცნობა, ვინც თავისი კოხტა პიჩერობით ამერიკელ ქალთა გუნდს სოფთბოლის ათენური ოქრო მოაპოვებინა. სამაგიეროდ, უკეთ საცნობნი არიან მოცურავენი ნატალი კაფლინი და ამანდა ბერდი.



REUTERS ნიუ იორკიდან





REUTERS ნიუ იორკიდან



REUTERS

პოლონეთი — ინგლისი. მაიკლ ოუენმა (№10) მასპინძლებს გამარჯვებისა გაუტანა

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა. მეორე ტური

| I ჯგუფი | V ჯგუფი |
|---|---|
| ანდორა 1:5 რუმინეთი | ნორვეგია 1:1 ბელარუსი |
| სომხეთი 0:2 ფინეთი | მოლდოვა 0:1 იტალია |
| ჰოლანდია 2:0 ჩეხეთი | შოტლანდია 0:0 სლოვენია |
| III ჯგუფი | VI ჯგუფი |
| ლუქსემბურგი 3:4 ლატვია | ავსტრია 2:0 აზერბაიჯანი |
| სლოვაკეთი 7:0 ლიხტენშტაინი | პოლონეთი 1:2 ინგლისი |
| პორტუგალია 4:0 ესტონეთი | უელსი 2:2 ჩრდ. ირლანდია |
| IV ჯგუფი | VII ჯგუფი |
| ფარერები 0:2 საფრანგეთი | ლიტვა 4:0 სან მარინო |
| ისრაელი 2:1 კვიპროსი | ბოსნია 1:1 ესპანეთი |
| შვეიცარია 1:1 ირლანდია | VIII ჯგუფი |
| | შვედეთი 0:1 ხორვატია |
| | უნგრეთი 3:2 ისლანდია |



REUTERS ამსტერდამიდან

ჰოლანდია — ჩეხეთი. გუშინ ჰოლანდიელებმა ჩეხები მილან ბაროშივით ჰაერში ააგდეს

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. აზია. მეოთხე ტური

| I ჯგუფი | V ჯგუფი |
|---|---|
| ლაოსი 1:6 ყატარი | ჩრდ. კორეა 4:1 ტაილანდი |
| იორდანია 0:2 ირანი | იემენი 3:1 საამიროები |
| II ჯგუფი | VI ჯგუფი |
| ტაივანი 1:4 ერაყი | ყირგიზეთი 1:2 ბაჰრეინი |
| პალესტინა 0:3 უზბეკეთი | ტაჯიკეთი 0:1 სირია |
| III ჯგუფი | VII ჯგუფი |
| სინგაპური 0:2 ომანი | ვიეტნამი 1:2 სამხ. კორეა |
| ინდოეთი 0:4 იაპონია | მალდივი 2:5 ლიბანი |
| IV ჯგუფი | VIII ჯგუფი |
| ჰონკონგი 0:2 ქუვეითი | შრი ლანკა 0:2 ინდონეზია |
| მალაიზია 0:1 ჩინეთი | თურქმენეთი 0:1 საუდის არაბეთი |

## რუსეთი

თასის 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩი

ლოკომოტივი 1:1 *ჩერნომორეცი* (0:1)

## ამხანაგური მატჩი

გერმანია 1:1 ბრაზილია


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი კაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge